ინფორმაციის თავისუფლების განივითარების ინსტიტუტი

„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი“

თბილისი, საქართველო

2012 წელი

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომის მომზადება ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ პროექტის **„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის“** ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია **ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, ღია საზოგადოების ფონდების** და **ეროვნული უსაფრთხოების არქივის** მიერ.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებული პროექტის „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის“ შედეგად გამოვლენილი მონაცემებისა და ტენდენციების ანალიზს, რაც ემსახურება ვიწრო გაგებით - საქართველოს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობის და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის დონის ამაღლებას, ხოლო ფართო გაგებით - საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ზოგადად ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების

ამასთან, წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია მიმართულია ფართო მკითხველთა წრისათვის (ჟურნალისტები, იურისტები, პედაგოგები, სტუდენტები, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირები), თუმცა სასურველი იქნებოდა მოცემული ანგარიშისადმი საქართველოს კანონმდებლისა და საჯარო მოსამსახურეთა ინტერესის გაღვივებაც, რასაც ერთობ ართულებს ის ფაქტი, რომ სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, დღეის მდგომარეობით, არ ითვალისწინებს სამართლებრივი აქტის ან/და იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობის არსებობას, რომელიც დაავალდებულებდა ყველა საჯარო დაწესებულებას იქონიოს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი, სადაც განთავსდებოდა, კანონმდებლობითვე გაწერილი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალი.

ინსტიტუტის აზრით არანაკლებ მნშვნელოვან გარემოებას ასევე წარმოადგენს საჯარო დაწესებულებათა ოფიციალური ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელექტრონული ხელმისაწვდომობის საკითხიც. საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხთან მიმართებაში ზემოთ ხსენებული პოზიცია ელ.გამჭვირვალობის საკითხს სრულად ეხმაურება და წარმოადგენს ელ.მმართველობის დარგის სპეციფიკასაც. ელექტრონული მმართველობის ისეთი ელემენტების ვებ-გვერდებზე ინტეგრირების პრაქტიკა, როგორებიცაა ელექტრონული ფორმით გადასახადის გადახდის საშუალებები და სხვა სახის მომსახურება ვებ-გვერდის მეშვეობით, დინამიურსა და მოქნილს ხდის ელ.გამჭვირვალობისა და ელ.მმართველობის ჰარმონიულ ურთიერთმიმართებას ზოგადად ელექტრონული მმართველობის კონცეფციის შიგნით, რისი შესაბამისი მონიტორინგის შედეგებიც ასახულია წინამდებარე ანგარიშში.

რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი
კონსტანტინე ჯანჯღავა (ავტორი)
ანგარიშის შედგენაზე მუშაობდნენ:
გოგა თუშურაშვილი (ტექნიკური რედაქტორი)
ალექსანდრე ხეროდინაშვილი (ექსპერტი)
ლევან ავალიშვილი (ექსპერტი)

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განივითარების ინსტიტუტი (IDFI) კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, „ღია საზოგადოების ფონდების” და „ეროვნული უსაფრთხოების არქივის“ პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელნი კვლევის შინაარსზე.

სარჩევი

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ---------- 4

პროექტის შესახებ ---------- 9

მონიტორინგის შდეგები: ---------- 15

ვებ-გვერდების მონიტორინგის რეგისტრი ---------- 15

ზოგადი მაჩვენებლები საჯარო დაწესებულებათა მიხედვით ---------- 28

მაჩვნეებლები ინფორმაციული თემატური ბლოკების მიხევით ---------- 58

ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის მონიტორინგი ---------- 83

დასკვნა ---------- 111

საქართველოში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მთავარი პროექტი. უკვე სამი წელია ინსტიტუტი ახორციელებს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებსაიტების მონიტორინგს და ხელს უწყობს ელექტრონულ გამჭვირვალობის და ელექტრონული მთავრობის თანამედროვე ტრენდების განვითარებას. ინსტიტუტის ექსპერტები აანალიზებენ სამთავრობო ვებ-გვერდების შინაარსს, ამავდროულად აფასებენ მათი ელექტრონული მმართველობის ხარისხს და უსაფრთხოების დონეს და ყოველი მონიტორინგის შემდეგ აწვდიან სახელმწიფო დაწესებულებებს დეტალურ რეკომენდაციებს.

ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტი თანმიმდევრულად ინერგება საქართველოში. საქართველომ გაეროს კვლევის მიხედვით ელექტრონული მმართველობის რეიტინგში დაიკავა 72 ადგილი 192 ქვეყანას შორის და 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით (100 ადგილი) საკმაოდ გაზარდა თავისი მაჩვენებელი http://www2.unpan.org/egovkb/global_reports/12report.htm

2012 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ორი ჯილდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან სახელმწიფო ელექტრონული სერვისების განვითარების დარგში. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა აღიარეს როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დანერგილი ელექტრონული შესყიდვების ახალი სისტემა დაჯილდოვდა მეორე ადგილით, რაც აშკარად არის საქართველოს მთავრობის მეირ ელექტრონული მმართველობის მიმართულებით გადადგმული საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ჩვენი ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მსოფლიო დონეზე აღიარება: http://www.unpan.org/Regions/AsiaPacific/PublicAdministrationNews/tabid/115/mctl/ArticleView/ModuleId/1467/articleId/31880/Default.aspx 2012 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დაამონიტორინგა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელმაც ელექტრონული ხელმისაწვდომობის და ელექტრონული სერვისების მიხედვით საქართველოს სამთავრობო ვებ-გვერდების რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი. ელექტრონული გამჭვირვალობის ხარისხის მიხედვით IDFI-ის რეიტინგში პირველი ადგილი მიირო აღსურლების ეროვნული ბიუროს ოფიციალურმა ვებ-გვერდმა.

პროექტის მთავარი მიზანია სამთავრობო ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის გაზრდა და მათი მომხმარებელზე მეტად ორიენტირება. ამ მიზნებისთვის IDFI-ს ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს იმ პარამეტრების სია, რაც მონიტორინგის მაღალი პროფესიონალური შედეგის საფუძველს წარმოადგენს (მეთოდოლოგიისთვის გთხოვთ ეწვიოთ: http://www.idfi.ge/?cat=monitoring_method_1&lang=ka .

უახლესი კვლევების მიხედვით, სამთავრობო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის საუკეთესო პრაქტიკას საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება წარმოადგენს.

ვებ-გვერდები პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მოსახერხებელი გზაა. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს მუდმივად განახლებული და უზრუნველყოფდნენ ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაციის და ადმინისტრაციულ ორგანოებთან დაკავშირებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობას.

სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მინიმალური ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურას, წესდებას(დებულებას); საკანონმდებლო აქტებს; დამტკიცებულ ბიუჯეტს და ბიუჯეტის შესრულების ბალანსს; ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ; ორგანიზაციის მენეჯმენტის საკონტაქტო ინფორმაციას, მათ ანაზღაურებას და სხვა ინფორმაციას, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

პროაქტიული გამოქვეყნება მიიჩნევა საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი საჯარო ინფორამციის მოთხოვნების რაოდენობის შემცირების ინსტრუმენტი და ამასთან ერთად, ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის პოტენციური მომხმარებლის დიდი რაოდენობისათვის. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ მაღალი სოციალური დატვირთვის მქონე საჯარო ინფორმაცია ქვეყნებოდეს და ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ვებ-გვერდებზე მანამდე, ვიდრე საჯარო დაწესებულებას მოქალაქე მიმართავს ინფორმაციის მოთხოვნის წერილით.

პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის შედეგად, IDFI წინ წამოწია და აქტიურად ეწეოდა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების ადვოკატირებას. სხვადასხვა ქვეყნების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის კვლევით და ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზით IDFI-მ გამოაშკარავა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებში თანამედროვე ტენდენციების (მაგალითად საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა) შემოღების აუცილებლობა.

2011 წლის სექტემბერში საქართველო შეუერთდა „ღია მმართველობის პარტნიორობას“. არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში ყურადღება გაამახვილეს ინფორმაციის თავისუფლებაზე და გამოიყენეს შესაძლებლობა, რომ პროაქტიული გამოქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციის ადვოკატირება უკვე OGP-ს ფარგლებში დაეწყოთ. ინსტიტუტის ექსპერტებმა წარმოადგინეს რეკომენდაცია OGP-სთვის საქართველოს სამოქმედო გეგმის შესახებ და მასში განსაკუთრებული ადგილი სწორედ ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას და კანონმდებლობაში შესატან შესაბამის ცვლილებებს დაეთმო. IDFI-ის ექსპერტებმა განაახლეს ვებ-გვერდების მონიტორინგისათვის IDFI-ს მიერ გამოყენებული პარამეტრები და

წარმოადგინეს იმ სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის სია, რომელიც უნდა პროაქტიულად გამოქვეყნდეს სახელმწიფო სააგენტოების მიერ. რეკომენდაციები ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას და ინსტიტუტის გამოცდილებას, რომელიც შემუშავდა საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

IDFI-იმ, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იმუშავა იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს OGP-სთვის საქართველოს სამოქმედო გეგმის შედგენაზე.

2012 წლის აპრილში საქართველომ გამოაქვეყნა ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.

ბრაზილიაში გამართულ OGP-ს წევრი ქვეყნების პირველი ყოველწლიური შეხვედრის შემდეგ, სადაც საქართველომ წარმოადგინა თავისი სამოქმედო გეგმა და მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები, IDFI-იმ დაიწყო საქართველოს მთავრობის მიერ OGP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციის მონიტორინგი. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჩამოაყალიბეს ფორუმი, რომელიც იკრიბება ყოველთვიურად და OGP-სთან დაკავშირებულ მიმდინარე საქმიანობას, ვალდებულებების შესრულების პროცესში მიღწეულ შედეგებს და სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

ამ მხრივ, ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შემდგარი კონსულტაციები ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის“ პროექტმა და IDFI-ს გამოცდილებამ სამთავრობო ვებ-გვერდების მონიტორინგში ითამაშა ძალიან მნიშვნელოვანი როლი საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საკითხის მნიშვნელობის წინ წამოწევაში.

ცვლილებები საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (თავი III- ინფორმაციის თავისუფლება)

2012 წლის მაისში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (თავი III - ინფორმაციის თავისუფლება), რომელიც ეხება ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას საჯარო დაწესებულებების მიერ. ცვლილებების შემუშავების პროცესში IDFI აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ თემაზე შემდგარ დისკუსიებში და განხილვებში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

შეტანილი ცვლილებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობაში შემოვიდა ახალი ტერმინები, როგორიც არის „პროაქტიული გამოქვეყნება“, „ელექტრონული რესურსები და სხვა:

4. 27-ე მუხლის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;“;

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) პროაქტიული გამოქვეყნება - შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება საჯარო დაწესებულების მიერ“.

ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირს ამავდროულად დაევალება ელექტრონულ რესურსებზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება:

36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე“.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმას. ცვლილებებამდე, ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ხელმოწერილი წერილის წარდგენის სახით. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული სახით:

37-ე მუხლი:

მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:

„3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

„4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.“

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა და ასევე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის ფორმატი უნდა განისაზღვროს კანონქვემდებარე აქტით 2013 წლის 1 სექტემბრამდე

218-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. 2013 წლის 1 სექტემბრისათვის შესაბამისმა ორგანოებმა (თანამდებობის პირებმა) უზრუნველყონ ამ კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა)“.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება ადმინისტარციული ორგანოების მიერ ძალაში შევა 2013 წლის 1 სექტემბრიდან.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მუშაობს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალის შემუშავებაზე, რომელიც დამტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებულებით.

გიორგი კლდიაშვილი (პროექტის დირექტორი)

1 პროექტის შესახებ

2011 წლის აპრილში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (შემდგომში „ინსტიტუტი“) დაიწყო პროექტი „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი“ (შემდგომში „პროექტი“), რაც წარმოადგენს 2010 წელს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული "საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგის” პროექტის გაგრძელებას.

პროექტის ძირითად **მიზნებს წარმოადგენდა:**

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

ერთწლიანმა დროის მონაკვეთმა (2011-2012) მოიცვა მონიტორინგს დაქვემდებარებული 104 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი. ხსენებული საჯარო დაწესებულებები პირობითად შესაძლებელია დაყოფილ იქნენ შემდეგ კატეგორიებად: მთავრობა (3 ვებ-გვერდი, მ.შ. ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის აპარატები), სამინისტროები (21 ვებ-გვერდი, მ.შ. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები), საჯარო სამართლის იურიდიული პირები (60 ვებ-გვერდი, სხვადასხვა სამინისტროთა მმართველობის სფეროში შემავალი და დამოუკიდებელი სსიპ-ები), სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები (8 ვებ-გვერდი), სახელმწიფო მინისტრის აპარატები (3 ვებ-გვერდი), დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები (2 ვებ-გვერდი), საქართველოს სახალხო დამცველის და საგადასახადო ომბუდსმენის აპარატები (2 ვებ-გვერდი), სხვა საჯარო დაწესებულებები (5 ვებ-გვერდი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი, ქ. თბილისის მერია, საქართველოს კონტროლის პალატა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია).



ვებ-გვერდების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ინსტიტუტის მიერ უკვე შემუშავებული შეფასების პარამეტრები (იხ. შესაბიმისი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20IV%20geo.pdf), თუმცა უშუალოდ მონიტორინგის პროცესის დაწყებამდე ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიზნად იქნა დასახული მინიმალური შეფასების პარამეტრების დახვეწა - შედეგად დაზუსტებულ იქნა შეფასების ცხრილი, რომელიც განისაზღვრა ცხრა თემატურ ბლოკში გაერთიანებული 154 პარამეტრით. ამასთან, ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პარალელურად შემუშავებულ იქნა შეფასების ცხრილი ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით, რაც გულისხმობს ტექნიკური პარამეტრების გამართულობისა და არსებობის შეფასებას საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე - შედეგად შეიქმნა შეფასების ცხრილი, რომელიც განისაზღვრა ცამეტ თემატურ ბლოკში გაერთიანებული 121 პარამეტრით (იხ. ვებ-გვერდების შეფასების შესაბიმისი ცხრილები შემდეგ ბმულზე http://www.idfi.ge/?cat=monitoring_method_1&lang=ka). ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობის და ელექტრონული კომპონენტის შეფასების პარამეტრების შემუშვებისას გამოყენებული იქნა გაეროს კვლევები „ელექტრონული მმართველობის გამოკითხვა“: http://www.unpan.org/egovkb/global_reports/08report.htm

ზემოთ ხსენებული მიზნებისათვის სამართლებრივ საკითხებში ინსტიტუტის ექსპერტის მიერ დაზუსტებულ და ხელახლა გადამოწმებულ იქნა სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების, პარლამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სახალხო დამცველის აპარატისა და ქ. თბილისის მერიის ორგანიზებისა და საქმიანობის საფუძვლების სამართლებრივი თავისებურებანი, რაც განხორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესწავლის გზით.

ინსტიტუტის მიერ აგრეთვე შემოღებულ იქნა კვლევის სტატისტიკური მონაცემების, გამოვლენილი პრობლემებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტის შექმნის, ხსენებული დოკუმენტის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე ატვირთვისა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებისათვის მიწოდების პრაქტიკა. (იხ. მონიტორინგის შედეგების ამსახველი დოკუმენტის ნიმუში შემდეგ ბმულზე http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Government%20of%20Georgia.pdf).

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შექმნილმა ხსენებული დოკუმენტების გვერდების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 3 000 შეადგინა.

ამასთან, ინსტიტუტის ნოვაციურ მიდგომას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების სამი ტიპის სარეიტინგო მაჩვენებლის დადგენა, ესენია: ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი, ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხი და ვებ-გვერდის ჯამური რეიტინგი. ზემოთ ხსენებული მაჩვენებლები სრულად ემყარება უკვე აღწერილ ორი ტიპის სხვადასხვა შეფასებათა ცხრილს: ინფორმაციული გამჭვირვალობის და ელექტრონული კომპონენტის შეფასების ცხრილებს.

დაინტერესებულ პირთათვის კვლევის მიმდინარეობის და საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის დონის უფრო თვალნათლად გაცნობის მიზნით ინსტიტუტმა შექმნა და საკუთარ ვებ-გვერდზე საჯაროდ განათავსა საძიებო სისტემის მქონე საჯარო დაწესებულებათა საინფორმაციო გამჭვირვალობის მიმდინარე რეიტინგის სტატისტიკის მოდული.



საჯარო დაწესებულებათა საინფორმაციო გამჭვირვალობის მიმდინარე რეიტინგის სტატისტიკის მოდული ინსტიტუტის ვებ-გვერდზე http://www.idfi.ge/?cat=monitoring_2011_charts&lang=ka

პროექტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის პარალელურად ინსტიტუტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ელ-გამჭვირვალობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების პროცესის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, შეიმუშავა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) შესატანი ცვლილებების პროექტი და საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სტანდარტების ჩამონათვალთან ერთად მიაწოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს. ხსენებული ინიციატივასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებთან გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და საკითხის განხილვა, რასაც შედეგად მოყვა ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რაზეც ზემოთ იქნა აღნიშნული.

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის ინსტიტუტი აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაცია-ინტერაქტივის პროცესს, რომელთა ოფიციალური ვებ-გვერდები ექვემდებარებოდნენ პროექტით გათვალისწინებულ მონიტორინგს. თითოეული ვებ-გვერდის კვლევის დაწყების წინ, მონიტორინგის

მაქსიმალურად ზუსტი და ობიექტური შედეგის მიღების მიზნით, ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ სტანდარტული კითხვარის საფუძველზე ხორციელდებოდა შეფასების ცხრილში მოყვანილი რიგი პარამეტრების (ინფორმაცია სათათბირო ორგანოების შესახებ. სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შესახებ ინფორმაცია, ონლაინ გადახდების/ვებ-გვერდიდან თანხის დაფარვის საშუალებათა ინტეგრირების საჭიროება *და ა.შ.*) კონკრეტულ საჯარო დაწესებულების საქმიანობასთან მისადაგების საკითხის დაზუსტება-გადამოწმება. ამასთან, ხშირ შემთხვევებში ზემოთ ხსენებულ პროცესს თან ახლდა საჯარო ინფორმაციის ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოთხოვის შემთხვევები, რაც მეტყველებს რიგ საჯარო დაწესებულებათა მზაობაზე ინსტიტუტის დახმარებით გააუმჯობესონ თავიანთი ოფიციალური ვებ-გვერდების გამჭვირვალობის დონე.

ყველა საჯარო დაწესებულებას, რომელთა ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგი განახორციელა ინსტიტუტმა, ელ.ფოსტის მეშვეობით გადაეგზავნა კვლევის სტატისტიკური მონაცემების, გამოვლენილი პრობლემებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტი. განხორციელდა აგრეთვე რიგ საჯარო დაწესებულებებისათვის (ძირითადად საქართველოს სამინისტროებისათვის) მონიტორინგის შედეგების ამსახველი დოკუმენტის ბეჭდური სახით მიწოდება.

ინსტიტუტის დიდ მოლოდინს წარმოადგენდა იმ საჯარო დაწესებულებებისგან თანამშრომლობის შესახებ გამოხმაურების მიღება, რომლებსაც მიეწოდათ შესაბამისი რეკომენდაციები ვებ-გვერდის გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის გაუმჯობესების კუთხით. ზემოთ ხსენებულმა ქმედებებმა ნაწილობრივ შედეგი გამოიღეს, რაც ძირითადად აისახა ინსტიტუტის შემდეგ ღონისძიებებში:

- ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გასვლითი შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში, სადაც განხილულ იქნა მიწოდებული კვლევის ფარგლებში ვებ-გვერდის გამჭვირალობის პრობლემატიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც სამინისტრომ გამოთქვა მზაობა გააუმჯობესოს საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდის ელ.გამჭვირვალობის ხარისხი ვებ-გვერდის ტექნიკური გამართვისა და რიგი საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების გზით;

- ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გასვლითი შეხვედრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სადაც განხილულ იქნა მიწოდებული კვლევის ფარგლებში ვებ-გვერდის გამჭვირვალობის პრობლემატიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც სამინისტრომ გამოთქვა სურვილი, რათა შესაძლებლობათა ფარგლებში, მიწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში, ინსტიტუტს განეხორციელებინა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის ხელახალი მონიტორინგი და დაესახა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები;

- ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გასვლითი შეხვედრა სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში, სადაც განხილულ იქნა მიწოდებული კვლევის ფარგლებში ვებ-

გვერდის გამჭვირვალობის პრობლემატიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც სამსახურმა გამოთქვა მზაობა გააუმჯობესოს საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდის ელ.გამჭვირვალობის ხარისხი ვებ-გვერდის ტექნიკური გამართვისა და რიგი საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების გზით;

- ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გასვლითი შეხვედრა სსიპ - შემოსავლების სამსახურში, სადაც განხილულ იქნა მიწოდებული კვლევის ფარგლებში ვებ-გვერდის გამჭვირვალობის პრობლემატიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები, რის საფუძველზეც სამსახურმა გამოთქვა მზაობა, რათა უახლოეს მომავალში ვებ-გვერდის განახლებისას გაეთვალისწინებინა ინსტიტუტის კვლევის საფუძველზე მიწოდებული რეკომენდაციები და დაესახა შესაძლო მომავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები;

- ინსტიტუტს ელექტრონული ფოსტის უკუკავშირის მეშვეობით გამოეხმაურა სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, რომელმაც გამოთქვა ინსტიტუტის კვლევის საფუძველზე მიწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინების სურვილი, ამასთან უკვე შემდგომ, შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში, სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა ვებ-გვერდზე განხორციელებული ცვლილება-დამატებების მონიტორინგის მიზნით თხოვნით მიმართა ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფს, რა ქმედებაც განხორციელებულ იქნა ინსტიტუტის მხრიდან. შედეგად დაისახა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები;

- ინსტიტუტს ელექტრონული ფოსტის უკუკავშირის მეშვეობით გამოეხმაურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, რომელმაც გამოთქვა სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების და შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მზაობა;

- ინსტიტუტს ელექტრონული ფოსტის უკუკავშირის მეშვეობით გამოეხმაურნენ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებიც ითხოვდნენ ინსტიტუტის მიერ აღმოჩენილი კონკრეტული ტექნიკური ხარვეზების დეტალურ აღწერას, რა ინფორმაციაც ხსენებულ საჯარო დაწესებულებებს გადაეგზავნათ;

- ინსტიტუტს სატელეფონო კავშირის მეშვეობით გამოეხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელი, რომელმაც გამოთქვა მზაობა უახლოეს მომავალში ვებ-გვერდის განახლებისას გაეთვალისწინებინა ინსტიტუტის კვლევის საფუძველზე მიწოდებული ძირითადი რეკომენდაციები, რის შედეგადაც დაისახა შესაძლო მომავალი ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებიც. ამასთან, მოთხოვნილ იქნა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციების განმარტება, რა ინფორმაციაც ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურის თანამშრომელს გადაეგზავნა.

საქართველოს საჯარო დაწესებულებათა ინტერნეტ რესურსების მონიტორინგმა ცხადჰყო საინტერესო ტენდენციების ერთობლიობა, რომლებზეც დეტალურად წინამდებარე ანგარიშში ქვემოთ იქნება საუბარი.

2 ვებ-გვერდების მონიტორინგის რეგისტრი

პროექტის ფარგლებში თავდაპირველად გამიზნული იყო ინსტიტუტის მიერ 112 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის მონიტორინგის განხორციელება, თუმცა, სამწუხაროდ უშუალოდ მონიტორინგის განხორციელების პროცესში აღმოჩნდა, რომ რიგი საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდები არ ექვემდებარებოდნენ მონიტორინგს სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო (ვებ-გვერდების ან საჯარო დაწესებულებების გაუქმება, ინფორმაციული შიგთავსისაგან ცარიელი ვებ-გვერდების ფორმალური არსებობა ინტერნეტ სივრცეში *და ა.შ.*).

ქვემოთ წარმოდგენილია იმ 104 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის მონიტორინგის რეგისტრი, რომელთა ინფორმაციული გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის/ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხი გამოკვლეულ და შეფასებულ იქნა პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

N	საჯარო დაწესებულების დასახელება	ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი	მონიტორინგის განხორციელების თარიღი	ვებ-გვერდის ჯამური რეიტინგი	კვლევის სტატისტიკური მონაცემები, გამოვლენილი პრობლემები და შესაბამისი რეკომენდაციები
1	**შინაგან საქმეთა სამინისტრო**	www.police.ge	03 ივნისი, 2011	31.67%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/MIA%20Monitoring%202011.pdf
2	**სასაზღვრო პოლიცია**	www.gbg.gov.ge	06 ივნისი, 2011	27.7%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Border%20Police%20monitoring%202011.pdf
3	**შსს აკადემია**	www.policeacademy.ge	07 ივნისი, 2011	22.24%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Academy%20of%20the%20MIA%20Monitoring%202011.pdf
4	**დაცვის პოლიციის დეპარტამენტი**	www.spd.ge	09 ივნისი, 2011	26%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Security%20Police%20Department%20Monitoring%202011.pdf
5	**შსს მომსახურების სააგენტო**	http://saagento.security.gov.ge	13 ივნისი, 2011	15.14%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Service%20Agency%20MIA.pdf
6	**თავდაცვის სამინისტრო**	www.mod.gov.ge	14 ივნისი, 2011	28.14%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/MOD%20-%20Monitoring%202011.pdf

7	კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	www.cadet.mod.gov.ge	17 ივნისი, 2011	24.23%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/cadets%20monitoring%202011.pdf
8	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	www.heritagesites.ge	21 ივნისი, 2011	17%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/heritage.pdf
9	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	www.folk.ge	22 ივნისი, 2011	28.63%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Folk%20center.pdf
10	კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი	www.gnfc.ge	24 ივნისი, 2011	23.8%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/cinema%20center%20LEPL.pdf
11	ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი	www.opera.ge	28 ივნისი, 2011	21.3%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/opera%20monitoring%202011.pdf
12	ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	www.rustavelitheatre.ge	29 ივნისი, 2011	ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისწვდომობის ხარისხი: 26.80%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/rustaveli%20theater%20monitoring%202011.pdf ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ დაექვემდებარა ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საპრეზენტაციო ტიპის ვებ-გვერდს.
13	საზოგადოებრივი მაუწყებელი	www.gpb.ge	29 ივნისი, 2011	21.7%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/GPB%20monitoring%202011.pdf
14	გარემოს დაცვის სამინისტრო	www.moe.gov.ge	04 ივლისი, 2011	33.1%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/MO%20Environment%20monitoring%202011.pdf
15	დაცული ტერიტორიების სააგენტო	www.dpa.gov.ge	06 ივლისი, 2011	25.28%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Agency%20of%20Protected%20Areas%20monitoring%202011.pdf
16	გარემოს ეროვნული სააგენტო	www.nea.gov.ge	08 ივლისი, 2011	20%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Environment%20agency%20monitoring%202011.pdf
17	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	www.mrdi.gov.ge	12 ივლისი, 2011	26.28%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Regional%20Development%20&%20Infrastructure%20Monitoring%202011.pdf

18	მუნიციპალური განვითარების ფონდი	www.mdf.ge	14 ივლისი, 2011	24.16%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Municipal%20Development%20Fund%20Monitoring%202011.pdf
19	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	www.georoad.ge	19 ივლისი, 2011	25.2%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Roads%20%20Department%20%20Monitoring%202011(1).pdf
20	ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	www.lsg.gov.ge	01 აგვისტო, 2011	24.15%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Center%20for%20Effective%20Governance%20Monitoring%202011.pdf
21	საჯარო სამსახურის ბიურო	www.csb.gov.ge	05 აგვისტო, 2011	30.67%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Civil%20Service%20Bureau%20monitoring%202011.pdf
22	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	www.moa.gov.ge	09 აგვისტო, 2011	22%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Agriculture%20monitoring%202011.pdf
23	ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"	www.samtrest.gov.ge	11 აგვისტო, 2011	26.75%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/samtrest%20monitoring%202011.pdf
24	სურსათის ეროვნული სააგენტო	www.nfa.gov.ge	15 აგვისტო, 2011	31.3%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/National%20Food%20Agency%20monitoring%202011.pdf
25	გამოცდების ეროვნული ცენტრი	www.naec.ge	17 აგვისტო, 2011	32.6%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/National%20Examination%20Center%20monitoring%202011.pdf
26	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	www.esida.ge	19 აგვისტო, 2011	28.41%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Esida%20monitoring%202011.pdf
27	განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი	www.nea.ge	22 აგვისტო, 2011	25.67%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/nea%20monitoring%202011.pdf

28	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	www.tsu.edu.ge	25აგვისტო , 2011	34.31%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/tsu%20monitoring%202011.pdf
29	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	www.mes.gov.ge	25აგვისტო , 2011	28.78%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Education%20and%20Science%20monitoring%202011.pdf
30	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	http://mandaturi.gov.ge	31 აგვისტო, 2011	24.36%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/mandaturi%20monitoring%202011.pdf
31	საგარეო საქმეთა სამინისტრო	www.mfa.gov.ge	30 აგვისტო,2011	31.87%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Foreign%20Affairs%20monitoring%202011.pdf
32	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	www.rustaveli.org.ge	02 სექტემბერი , 2011	25.8%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Rustaveli%20fund%20monitoring%202011.pdf
33	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	www.tpdc.ge	02 სექტემბერი , 2011	26.63%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/TPDC%20Monitoring%202011.pdf
34	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	www.msy.gov.ge	07 სექტემბერი , 2011	33.51%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20sport%20monitoring%202011.pdf
35	მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	www.science.org.ge	07 სექტემბერი , 2011	17.90%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Academy%20of%20science%20monitoring%202011.pdf
36	იურიდიული დახმარების სამსახური	www.legalaid.ge	08 სექტემბერი , 2011	32.65%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/legalaid%20monitoring%202011.pdf

37	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	www.mra.gov.ge	09 სექტემბერი , 2011	27.93%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20refugees%20monitoring%202011.pdf
38	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	www.pptc.gov.ge	13 სექტემბერი , 2011	24.37%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Probation%20center%20monitoring%202011.pdf
39	სასჯელაღსრულების , პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	www.mcla.gov.ge	16 სექტემბერი, 2011	31.94%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Corrections%20and%20Legal%20Assistance%20monitoring%202011.pdf
40	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	www.probation.ge	16 სექტემბერი, 2011	23.18%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Probation%20Agency%20monitoring%202011.pdf
41	საწარმოთა მართვის სააგენტო	www.ema.gov.ge	20 სექტემბერი, 2011	23.78%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/ema_gov_ge%20monitoring%202011.pdf
42	ტურიზმის ეროვნული სააგენტო	www.gnta.ge	22 სექტემბერი, 2011	28.54%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Turism%20agency%20monitoring%202011.pdf
43	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	www.minenergy.gov.ge	26 სექტემბერი, 2011	27.35%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20enenergy%20monitoring%202011.pdf
44	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი	www.gac.gov.ge	27 სექტემბერი, 2011	24.70%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Accreditation%20Center%20monitoring%202011.pdf

45	ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური	www.him.ge	29 სექტემბერი, 2011	29.63%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/mediaton%20service%20monitoring%202011.pdf
46	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	www.atipfund.gov.ge	03ოქტომბერი, 2011	16.42%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/antipfund%20monitoring%202011.pdf
47	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	www.economy.gov.ge	03ოქტომბერი , 2011	24.62%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/economy_gov_ge%20monitoring%202011.pdf
48	სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	www.geostm.ge	04 ოქტომბერი, 2011	26.12%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Gnims%20Monitoring%20NEW%202011.pdf
49	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	www.ncdc.ge	06 ოქტომბერი, 2011	17.85%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/sakvarelidze%20monitoring%202011.pdf
50	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	www.moh.gov.ge	18 ოქტომბერი, 2011	34.38%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Health%20monitoring%202011.pdf
51	ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	www.is.ge	26 ოქტომბერი, 2011	22.90%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Investigation%20service%20monitoring%202011.pdf

52	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	www.mofacademy.ge	26 ოქტომბერი, 2011	29.38%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/mofacademy%20monitoring%202011.pdf
53	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	www.mcs.gov.ge	28 ოქტომბერი, 2011	25.91%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Culture%20monitoring%202011.pdf
54	საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	www.fas.ge	28 ოქტომბერი, 2011	25.42%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/fas_ge.pdf
55	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	www.diaspora.gov.ge	01 ნოემბერი, 2011	29.76%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/diaspora%20monitoring%202011.pdf
56	შემოსავლების სამსახური	www.rs.ge	02 ნოემბერი, 2011	34.98%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/rs_ge%20monitoring%202012.pdf
57	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	https://seragency.gov.ge	07 ნოემბერი, 2011	31.19%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/seragency%20monitoring%202011.pdf
58	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	www.treasury.ge	10 ნოემბერი, 2011	26.45%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/treasury.pdf
59	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	www.rama.moh.gov.ge	16 ნოემბერი, 2011	7.97%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/rama_moh_%20monitoring%202011.pdf
60	სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	www.deoagency.ge	16 ნოემბერი, 2011	27.5%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/State%20Care%20Agency.pdf

61	ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი	www.va.gov.ge	18 ნოემბერი, 2011	ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი: 1.13%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/veterans%20department%20monitoring%202011.pdf ვებ-გვერდის არ დაექვემდებარა შეფასებას, რადგანაც ვებ-გვერდი გაუმართავია, როგორც ინფორმაციული შიგთავსის, ასევე ტექნიკური პარამეტრების მხრივ.
62	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	www. tcj.gov.ge	18 ნოემბერი, 2011	23.95%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Training%20Center%20of%20Justice.pdf
63	საკანონმდებლო მაცნე	www.matsne.gov.ge	21 ნოემბერი, 2011	ტექნიკური გამა-რთულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხი: 47.18%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Legislative%20Herald%20of%20Georgia.pdf ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ დაექვემდებარა ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საძიებო სისტემის ტიპის ვებ-გვერდს, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, საერთასორისო ხელშეკრულებებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ბაზა.
64	კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი	www.constcentre.gov.ge	25 ნოემბერი, 2011	12.01%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Constitutionalism%20Research%20and%20Support%20Regional%20Center.pdf
65	ეროვნული არქივი	www.archives.gov.ge	25 ნოემბერი, 2011	22.91%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/The%20National%20Archives%20of%20Georgia.pdf
66	ნოტარიუსთა პალატა	www.notary.ge	28 ნოემბერი, 2011	28.2%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/NOTARY.pdf
67	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	www.napr.gov.ge	02 დეკემბერი, 2011	37.18%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/napr_gov_ge.pdf

68	აღსრულების ეროვნული ბიურო	www.nbe.gov.ge	07 დეკემბერი, 2011	43.99%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/NBE_gov_ge.pdf
69	ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა	www.zspa.ge	09 დეკემბერი, 2011	20.04%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/zspa_ge%20monitoring%202011.pdf
70	სამოქალაქო რეესტრის სააგენტო	www.cra.gov.ge	14 დეკემბერი, 2011	28.47%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/cra_gov_ge.pdf
71	სავაჭრო-სამრეწველო პალატა	www.gcci.ge	19 დეკემბერი, 2011	26.28%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/GCCI.pdf
72	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	www.procurement.gov.ge	22 დეკემბერი, 2011	36.03%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/procurement%20agency%20monitoring%202011.pdf
73	რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	www.smr.gov.ge	27 დეკემბერი, 2011	27,02%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Reintegration.pdf
74	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	www.dea.gov.ge	03 იანვარი , 2012	25.28%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/exchange.pdf
75	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	www.eu-nato.gov.ge	04 იანვარი, 2012	24.59%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/eu_nato.pdf

76	**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო**	www.meca.gov.ge	05 იანვარი, 2012	27.98%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/apkhazia.pdf
77	**ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**	www.investingeorgia.org	08 იანვარი, 2012	ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხი: 52.67%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Investingeorgia.pdf ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ დაექვემდებარა ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას
78	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**	www.moecs.ge	10 იანვარი, 2012	31.03%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/ajara.pdf
79	**იუსტიციის სამინისტრო**	www.justice.gov.ge	13 იანვარი, 2012	37.50%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/justice_gov_ge.pdf
80	**ფინანსთა სამინისტრო**	www.mof.ge	19 იანვარი, 2012	38.07%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/finance.pdf
81	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**	www.mofea.ge	24 იანვარი, 2012	23.77%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/finance%20and%20economy.pdf
82	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო**	www.moa.ge	26 იანვარი, 2012	30.94%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/agriculture.pdf

83	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	www.forencis.ge	01თებერვალი, 2012	29.77%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/samkharauli.pdf
84	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	www.abkhazia.gov.ge	02 თებერვალი, 2012	34.19%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/apkhazia%281%29.pdf
85	აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი	www.ajaratv.ge	03 თებერვალი, 2012	ტექნიკური გამა-რთულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხი: 34.76%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/ajaratv_ge.pdf ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ დაექვემდებარა ინფორმაციული გამჭირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საპრეზენტაციო ტიპის ვებ-გვერდს.
86	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	www.geostat.ge	08 თებერვალი, 2012	34.1%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/renewed%20statistics.pdf
87	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამმართველო	www.archives-achara.gov.ge	09 თებერვალი, 2012	23.33%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/ajara%20archives%20.pdf
88	კონტროლის პალატა	www.control.ge	10 თებერვალი, 2012	37.38%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/kontrolis%20palata.pdf
89	საქართველოს მთავრობა	www.government.gov.ge	14 თებერვალი, 2012	31.845%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Government%20of%20Georgia.pdf
90	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	www.gnerc.org	17 თებერვალი, 2012	26.65%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/gnerc%20monitoring%202012.pdf

91	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	www.sakpatenti.org.ge	21 თებერვალი, 2012	28.06%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/sakpatenti%20monitoring%202012.pdf
92	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	www.ajara.gov.ge	22 თებერვალი, 2012	30.215%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Government%20of%20Ajara.pdf
93	ფინანსური მონიტორინგის სამსახური	www.fms.gov.ge	23 თებერვალი, 2012	21.12%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/fms%20monitoring%202012.pdf
94	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	www.gncc.ge	27 თებერვალი, 2012	29.815%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Communications%20Commision.pdf
95	საქართველოს პარლამენტი	www.parliament.ge	29 თებერვალი, 2012	41.135%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/parliament%20monitoring%202012.pdf
96	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	www.electionreforms.ge	3 მარტი, 2012	23.035%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/electionreforms%20monitoring%202012.pdf
97	ცენტრალური საარჩევნო კომისია	www.cec.gov.ge	9 მარტი, 2012	37.53%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/cec_gov_ge%20monitoring%202011.pdf
98	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	www.molhs.gov.ge	15 მარტი, 2012	19.135%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/mohls_ge%20monitoring%202011.pdf
99	ქალაქ თბილისის მერია	www.tbilisi.gov.ge	15 მარტი, 2012	27.43%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/tbilisi_gov_ge%20monitoring%202012.pdf
100	საქართველოს სახალხო დამცველი	www.ombudsman.ge	23 მარტი, 2012	29.845%	შესაბამისი დოკუმენტი ინსტიტუტის ვებ-გვერდზე არ იქნა ატვირთული.

101	საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი	www.businessombudsman.ge	26 მარტი, 2012	29.57%	შესაბამისი დოკუმენტი ინსტიტუტის ვებ-გვერდზე არ იქნა ატვირთული.
102	ეროვნული ბანკი	www.nbg.gov.ge	27 მარტი, 2012	36.155%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/nbg_gov_ge%20monitoring%202012.pdf
103	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	www.president.gov.ge	02 აპრილი, 2012	32.93%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/president_gov_ge%20monitoring%202011.pdf
104	სოციალური მომსახურების სააგენტო	www.ssa.gov.ge	06 აპრილი, 2012	34.07%	http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/ssa_gov_ge%20monitoring%202012.pdf



3 ზოგადი მაჩვენებლები საჯარო დაწესებულებათა მიხედვით

ზოგად ჭრილში განხილვისას, პროექტის მიზნები უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო მონიტორინგს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების ელ. გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის/ელექტრონული ხელმისაწვდომობის ძირითადი ხარისხის დადგენისაკენ. კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემები სრულად იძლევა ხსენებული ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობის დაინტერესებულ საზოგადოებისათვის წარმოდგენის საშუალებას.

ამასთან, საქართველოს 104 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ **ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის ინდექსით, საქართველოს რეალობა ჯერ-ჯერობით დაბალ განვითარებულიდან - ზომიერად განვითარებულისაკენ აღმავალ საფეხურზე დგას ელ. გამჭვირვალობის ხარისხობრივ კიბეზე.** აღნიშნულის დასტურია კვლევის შედეგად დადგენილი ის მაჩვენებლებიც, რომელთა მიხედვით:

საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი საუკეთესო მაგალითზე მხოლოდ 40%-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური გამართულობის ხარისხი კი - 57.7 %-ს.



აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდი www.nbe.gov.ge - საუკეთესო ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის (40.03%) და ჯამური რეიტინგის (43.99%) მქონე ვებ-გვერდი IDFI-ს შეფასებითი პარამეტრების მიხედვით



კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდი www.procurement.gov.ge - საუკეთესო ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხის (57.7%) მქონე ვებ-გვერდი IDFI-ს შეფასებითი

პარამეტრების მიხედვით

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ:

საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის საშუალო ხარისხი 13.91%-ია, ხოლო ტექნიკური გამართულობის საშუალო ხარისხი - 39.7 %

შესაბამისად, დაბალია კვლევის შედეგად დადგენილი ვებ-გვერდების საშუალო ჯამური რეიტინგიც, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის პროცენტულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს და შეადგენს - 26.85%-ს.



ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიდან გამომდინარე ადვილად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში დღესდღეობით საჯარო დაწესებულებათა მხრიდან მეტი ყურადღება ექცევა თავიანთ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, არამედ ვებ-გვერდების ტექნიკური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას, რაც კიდევ ერთხელ წარმოადგენს იმ გარემოების ირიბ გამოძახილს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალის ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც საკანონმდებლო რეგულირების პირობებში დაავალდებულებდა საჯარო-დაწესებულებებს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მის პროაქტიულ გამოქვეყნებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული სტანდარტი ინსტიტუტის მიერ უკვე შემუშავებულ იქნა.

უპრიანი იქნება აგრეთვე განვიხილოთ კვლევის შედეგად გამოვლენილი ზოგადი მაჩვენებლები იმ საჯარო დაწესებულებებთან მიმართებაში, რომელთა ოფიციალურ ვებ-გვერდებსაც პროექტის ფარგლებში ჩაუტარდათ მონიტორინგი. იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული უმეტესობა საჯარო დაწესებულებებისა თავიანთი ორგანიზაციული და ფუნქციონალური სამართლებრივი ბუნებით ქმნიდნენ ერთგვაროვან დაწესებულებათა

ჯგუფებს (საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრის აპარატები, სსიპ-ები, საქვეუწყებო დაწესებულებები *და ა.შ.*) უპირველეს ყოვლისა შესაძლებელია ხსენებულ ჯგუფების ირგვლივ ზოგადი მაჩვენებლების შეჯამება. **როგორც ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდებს საქართველოში** სამინისტროების **ვებ-გვერდების ჯგუფი წარმოადგენს (საშუალო მაჩვენებელი - 17.25%).** სავარაუდოდ, აღნიშნული უმეტესწილად განპირობებულია სამინისტროების საქმიანობის სფეროთა ძალიან მდიდარი და საჯარო მნიშვნელობით გამორჩეული სპექტრით, რა შემთხვევაშიც, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკანონმდებლო ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, ხსენებული ფაქტორი უბიძგებს სამინისტროებს იქონიონ ვებ-გვერდები და ინტერნეტის მეშვეობით საზოგადოებისათვის გახადონ ხელმისაწვდომი თავიანთი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია.

ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირების **ვებ-გვერდების ჯგუფი წარმოადგენს ერთ-ერთ ჩამორჩენილ ჯგუფს ყველა მაჩვენებლის მიხედვით, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სწორედ ხსენებულ ჯგუფს მიეკუთვნება კვლევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ინფორმაციული გამჭვირვალობისა და რეიტინგის მქონე ვებ-გვერდი, ისევე როგორც ელექტრონულად ყველაზე ხელმისაწვდომი და ტექნიკურად გამართული გვერდი.**



აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინსტიტუტის ექსპერტთა მიერ პირობითად „სხვა საჯარო დაწესებულებების“ ჯგუფში (5 ვებ-გვერდი - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი, ქ. თბილისის მერია, საქართველოს კონტროლის პალატა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია) გაერთიანებულ დაწესებულებათა ვებ-გვერდები ერთგვაროვან დაწესებულებათა ჯგუფებში გაერთიანებულ მრავალი სხვა დაწესებულების ვებ-გვერდთან შედარებით გამოირჩეოდნენ საკმაოდ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რისი დასტურია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდს მონიტორინგს დაქვემდებარებულ 104 საჯარო დაწესებულებას შორის მე-2 პოზიცია უჭირავს, როგორც ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხით (33.4%), ასევე ჯამური რეიტინგის (41.13%) მიხედვით.



საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.parliament.ge - ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხითა და ჯამური რეიტინგით მე-2 პოზიციაზე მყოფი ვებ-გვერდი IDFI-ს შეფასებითი პარამეტრების მიხედვით.


ერთგვაროვანი ჯგუფებიდან საუკეთესო ვებ-გვერდების ურთიერთშედარება სხვა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებთან
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ელ. ხელმისაწვდომობა
ჯამური რეიტინგი
აღსრულების ეროვნული ბიურო (სსიპ)
40,03%
47,95%
43,99%
საქართველოს პარლამენტი
33,4%
48,87%
41,135%
ფინანსთა სამინისტრო
22,22%
53,92%
38,07%
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
21,54%
53,52%
37,53%
კონტროლის პალატა
19,7%
55,06%
37,38%
ქალაქ თბილისის მერია
17,93%
36,93%
27,43%
საქართველოს სახალხო დამცველი
17,05%
42,64%
29,845%
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო)
16,95%
42,68%
29,815%
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
14,28%
51,58%
32,93%
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
14,03%
54,35%
34,19%
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
13,68%
45,85%
29,765%
სასაზღვრო პოლიცია (საქვეუწყებო დაწესებულება)
11,04%
44,41%
27,725%

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტესობა საჯარო დაწესებულებებისა თავიანთი ორგანიზაციული და ფუნქციონალური სამართლებრივი ბუნებით ქმნიდნენ ერთგვაროვან დაწესებულებათა ჯგუფებს (სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრის აპარატები, სსიპ-ები, საქვეუწყებო დაწესებულებები *და ა.შ.*), რა ჯგუფების მაჩვენებლების შედარებაც მოყვანილ იქნა ანგარიშში. ინსტიტუტის ექსპერტების მიერ, საჯარო დაწესებულებათა ორგანიზაციულ-ფუნქციონალური თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყოფილ იქნა შემდეგი ქვე-ჯგუფიც - სამინისტროთა სისტემაში შემავალი დაწესებულებები (საქვეუწყებო დაწესებულებები და სსიპები). სამინისტროთა უწყებრივ სისტემაში გაერთიანებულ ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით, განხორციელდა ხსენებულ დაწესებულებათა სისტემათა ვებ-გვერდების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება.

მოცემული ქვე-ჯგუფის ვებ-გვერდების ზოგად მაჩვენებლებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **ჯამური რეიტინგით პირველ პოზიციაზე მყოფ იუსტიციის სამინისტროსა და ამავე რეიტინგით მეორე პოზიციაზე მყოფ ფინანსთა სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა შორის საშუალო მაჩვენებლის სხვაობა მხოლოდ 0,4 პროცენტია. ხოლო, საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ საშუალოდ ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდების ქვე-ჯგუფს აერთიანებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემა.**



ამასთან, ნიშანდობლივ გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ **მთელ რიგ შემთხვევებში, სისტემაში გაერთიანებულ დაწესებულებების ქვე-ჯგუფებში მაჩვენებლების მხრივ უპირატესობა არა ზემდგომ (მაკონტროლებელ) სამინისტროების ვებ-გვერდებს გააჩნიათ, არამედ მათ მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა თუ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს.** ხსენებულის საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ვებ-გვერდების მაჩვენებლები, სადაც სამინისტროს ორივე ქვემდგომი ორგანოს ვებ-გვერდი ყველა მაჩვენებლით ჯაბნის მაკონტროლებელი სამინისტროს ვებ-გვერდს.


სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. გამჭვირვალობა
23,51%
31,945%
40,38%
24,63%
32,65%
40,67%
15,01%
24,375%
33,74%
12,85%
23,185%
33,52%
სასჯელაღსრულების , პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
იურიდიული დახმარების სამსახური
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო


იუსტიციის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ.ხელმისაწვდომობა
53,37%
47,95%
51,29%
37,505%
40,03%
43,99%
37,18%
37,58%
38,6%
33,63%
41,96%
39,48%
47,18%
21,64%
28,475%
28,2%
23,07%
22,915%
25,285%
23,955%
23,59%
19,37%
17,8%
12,2%
8,61%
8,43%
0%
იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
საქართველოს ეროვნული არქივი
მონაცემთა გაცვლის სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სასწავლო..
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე


ფინანსთა სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
22,22%
38,07%
53,92%
16,13%
34,98%
53,83%
13,45%
29,38%
45,31%
12,69%
30,845%
49,7%
12,61%
25,425%
38,24%
12,07%
26,455%
40,84%
8,38%
22,905%
37,43%
ფინანსთა სამინისტრო
შემოსავლების სამსახური
ფინანსთა სამინისტროს აკადემია
ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
საფინანსო - ანალიტიკური სამსახური
სახაზინო სამსახური
საგამოძიებო სამსახური


განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ . ხელმისაწვდომობა
15,58%
28,78%
41,98%
27,1%
34,31%
41,52%
17,4%
25,8%
34,2%
14,08%
26,63%
39,18%
13,88%
28,415%
42,95%
13,55%
17,905%
22,26%
12,26%
25,675%
39,09%
11,78%
32,6%
53,42%
8,67%
20%
31,33%
7,43%
24,36%
41,29%
5,63%
12,015%
18,4%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
თსუ
მოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
სოფლისა და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
გამოცდების ეროვნული ცენტრი
ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი


გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
44,61%
40,78%
33,095%
31,49%
25,28%
21,58%
20,035%
9,78%
8,58%
გარემოს დაცვის სამინისტრო
დაცული ტერიტორიების სააგენტო
გარემოს ეროვნული სააგენტო


სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
44,14%
35,36%
42,13%
31,3%
22,02%
26,75%
18,46%
8,68%
11,37%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სურსათის ეროვნული სააგენტო
ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"


რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ . ხელმისაწვდომობა
40%
26,28%
12,56%
33,21%
24,16%
15,11%
36,64%
25,2%
13,76%
39,31%
24,15%
8,99%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტ


ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
16,17%
24,62%
33,07%
14,38%
23,78%
33,18%
12,62%
26,125%
39,63%
11,43%
28,54%
46,65%
11,07%
24,705%
38,34%
10,88%
26,28%
41,68%
0%
26,335%
52,67%
ისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ეროვნული ბანკის სააგენტო
ტურიზმის ეროვნული სააგენტო
სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
ნაქართველოს საჯარო სამართლის პალატა
ეროვნული საინვესტიციო სააგენტო


შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
48,53%
44,41%
42,05%
32,35%
31,67%
27,725%
26,06%
24,22%
22,24%
14,81%
15,145%
12,13%
11,04%
10,07%
6,07%
შინაგან საქმეთა სამინისტრო
შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
დაცვის პოლიცია
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო


თავდაცვის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
43,74%
34,83%
28,14%
21,235%
12,54%
7,64%
თავდაცვის სამინისტრო
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი


ჯანდაცვის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
17,06%
34,385%
51,71%
16,18%
34,07%
51,96%
13,35%
29,635%
45,92%
10,73%
27,5%
44,27%
9,03%
17,85%
26,67%
8,46%
16,42%
24,38%
1,92%
7,97%
14,02%
1,13%
0,565%
0%
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სოციალური მომსახურების საგენტო
ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური
სახელმწიფო ზრუნვის საგენტო
დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
ტრეფიკინგის მსხვერპლთა , დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების საგენტო
საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი


კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
16,5%
25,91%
35,32%
12,71%
23,8%
34,89%
12,08%
28,63%
45,18%
9,11%
16,97%
24,83%
4,92%
21,275%
37,63%
0%
13,4%
26,8%
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ქ.თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ინსტიტუტის ექსპერტების მიერ ცალკე საილუსტრაციო ქვე-ჯგუფად აგრეთვე გამოყოფილ იქნა ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელ ხელისუფლების დაწესებულებათა სისტემათა ვებ-გვერდები, რა შემთხვევაშიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა ვებ-გვერდების საშუალო **ჯამურმა რეიტინგმა - 31.08%**, ინფორმაციული გამჭვირვალობის საშუალო ხარისხმა - 15.52% და ელ. ხელმისაწვდომობის საშუალო ხარისხმა - 46.64% შეადგინა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დაწესებულებების ვებ-გვერდების **ჯამურმა რეიტინგმა - 24.14%**, ინფორმაციული გამჭვირვალობის საშუალო ხარისხმა - 13.07%-ს და ელ. ხელმისაწვდომობის საშუალო ხარისხმა - 35.21% შეადგინა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმეტესობა შესაბამის დაწესებულებას არ გააჩნდა ოფიციალური ვებ-გვერდი ინტერნეტ სივრცეში, რა გარემოებამაც განაპირობა მხოლოდ ორი დაწესებულების ვებ-გვერდის საშუალო მაჩვენებლის არსებობა.




აფხაზეთის ა.რ. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სისტემა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ჯამური რეიტინგი
ელ. ხელმისაწვდომობა
54,35%
38,94%
34,19%
27,98%
14,03%
17,02%
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

და ბოლოს, მონიტორინგს დაქვემდებარებული 104 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის ზოგად მაჩვენებლებზე საუბრისას, იქნება ეს ელ. გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის (ელ. ხელმისაწვდომობის) ხარისხი - თუ ჯამური რეიტინგი, უპრიანად მიგვაჩნია, საჯარო დაწესებულებათა ჯგუფების შიგნით ორი სიტყვით შევეხოთ იმ ერთეულ მაგალითებსაც, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეიძლება წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მკითხველთა ინტერესს.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჯგუფის შიგნით აღსანიშნავია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის ელ.ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური გამართულობის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს ელ-სერვისების და ტექნიკური მაჩვენებლით ყველაზე გამართულ ვებ-გვერდს დამონიტორინგებულ საჯარო დაწესებულებათა შორის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 104 დაწესებულების შორის ინფორმაციული გამჭვირვალობის საუკეთესო ხარისხისა და ჯამური რეიტინგის მქონე ვებ-გვერდი, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეკუთვნის, იმავე საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჯგუფს განეკუთვნება. შესაბამისად, შესაძლებელია ადვილად დავასკვნათ, რომ **ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ყველა მაჩვენებლით, იქნება ეს ყველაზე გამჭვირვალე თუ ტექნიკურად გამართული ინდივიდუალური ვებ-გვერდი, საუკეთესო არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჯგუფში გაერთიანებული 2 დაწესებულება.**

სხვა ინდივიდუალური მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია **ავტონომიური რესპუბლიკების რიგ დაწესებულებათა ვებ-გვერდების შედარებით კარგი მაჩვენებლები**, რა შემთხვევაშიც საქვეუწყებო დაწესებულებების ჯგუფის შიგნით აჭარის ა.რ. მთავრობის საარქივო სამმართველოს ვებ-გვერდი ყველაზე მაღალი ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხით გამოირჩევა, ხოლო ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხითა და ჯამური რეიტინგით აფხაზეთის ა.რ. მთავრობის ვებ-გვერდი საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდსაც კი ჯაბნის.

რაც შეეხება სამინისტროების ვებ-გვერდების ჯგუფს, შესამჩნევია საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდების ზოგადად მაღალი მაჩვენებლები ელ. ხელმისაწვდომობისა და ჯამური რეიტინგის კრიტერიუმებით, თუმცა მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, ინფორმაციული გამჭვირვალობის ყველაზე მაღალი ხარისხით სამინისტროებში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი გამოირჩევა.

ერთმანეთთან მიახლოებული საშუალო მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი სამივე სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდი, რაც ამ ვებ-გვერდების ჯგუფს არც მოწინავე და არც ჩამორჩენილ პოზიციაზე აყენებს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ „საუკეთესო“ ან ამა თუ იმ კრიტერიუმით „ყველაზე“ ხარისხიან ვებ-გვერდზე საუბრისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია საჯარო

დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის დაბალი ხარისხის ზოგადი ფონი საქართველოში.



სსიპ-ების ინფორმაციული გამჭვირვალობა



სსიპ-ების ელ.ხელმისაწვდომობა



სამინისტროები




საქვეუწყებო დაწესებულებები
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ელ. ხელმისაწვდომობა
ჯამური რეიტინგი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამმართველო
13,93%
32,73%
23,33%
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
13,76%
36,64%
25,2%
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
12,07%
40,84%
26,455%
სასაზღვრო პოლიცია
11,04%
44,41%
27,725%
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
8,38%
37,43%
22,905%
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
1,92%
14,02%
7,97%
ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი
1,13%
0%
0,565%
აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი
0%
34,76%
17,38%


მთავრობა
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ელ. ხელმისაწვდომობა
ჯამური რეიტინგი
საქართველოს მთავრობა
15,92%
47,77%
31,845%
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
14,03%
54,35%
34,19%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
13,8%
46,63%
30,215%


სახელმწიფო მინისტრის აპარატები
ინფორმაციული გამჭვირვალობა
ელ. ხელმისაწვდომობა
ჯამური რეიტინგი
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
13,68%
45,85%
29,765%
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
12,45%
36,74%
24,595%
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
12,3%
41,75%
27,025%

4 მაჩვენებლები ინფორმაციული (თემატური) ბლოკების მიხედვით

როგორც წინამდებარე ანგარიშში ზემოთ აღვნიშნეთ, მონიტორინგს დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული შეფასების პარამეტრები, აღნიშნული პარამეტრები წარმოადგენენ შეფასების ცხრილის შიგნით ცხრა თემატურ ბლოკში გაერთიანებულ 154 პარამეტრს (იხ. პარამეტრების ცხრილი შემდეგ ბმულზე - http://www.idfi.ge/?cat=monitoring_method_1&lang=ka). მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგებით დაინტერესებული მკითხველის ინტერესის საგანს შესაძლებელია, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, წარმოადგენდეს თემატურად დაყოფილი იმ საჯარო ინფორმაციის ირგვლივ არსებული მაჩვენებლების გაცნობაც, რომლებიც ასახავენ საქართველოში საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ვებ-გვერდებზე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკას.

სანამ უშუალოდ კონკრეტულ ინფორმაციულ ბლოკებთან მიმართებაში კვლევის შედეგად გამოვლენილ შესაბამის მაჩვენებლების მიმოხილვას წარმოგიდგენდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ბლოკების შესახებ ზოგად ინფორმაციას.

ინფორმაციული, იგივე თემატური ბლოკები წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის შეფასებისათვის დაჯგუფებულ პარამეტრებს ანუ იმ საჯარო ინფორმაციის სახეებს, რომლებიც საერთო თემატური ნიშან-თვისებებით ინსტიტუტის ექსპერტთა მიერ გაერთიანებულ იქნენ ამა თუ იმ ჯგუფში.

ამგვარი ჯგუფების, იგივე ბლოკების, რაოდენობა ცხრას ითვლის:

ბლოკი 1 — **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ, საერთო საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია ზემდგომი ორგანოს შესახებ, დეტალური საქმიანობის ისტორია, მმართველობის სფეროს და ფუნქციების აღწერა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა *და ა.შ.*

ბლოკი 2 — **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე), სტრუქტურული ერთეულების საერთო საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია, სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის და ფუნქციათა აღწერა, არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია ტერიტორიული და სათათბირო ორგანოების შესახებ *და ა.შ.*

ბლოკი 3 **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები, კადასტრები; საინფორმაციო სისტემების (მ.შ. შეზღუდული მოხმარების) აღწერა და მოხმარების წესები, შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი *და ა.შ.*

ბლოკი 4 **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები, დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები, საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშები, ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების და პროგნოზების აღწერა, ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები, სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია, სტაჟირებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაცია *და ა.შ.*

ბლოკი 5 **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: საჯარო დაწესებულების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულება, შინაგანაწესი); სტრუქტურული ერთეულების დებულებები (არსებობის შემთხვევაში), საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი აქტების პროექტები და მათზე დართული განმარტებითი ბარათები, საკანონმდებლო აქტები, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების ტექსტები, დაწესებულების მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მინისტრისა და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები *და ა.შ.*

ბლოკი 6 **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა; საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული ინფორმაცია; დაწესებულების მიერ სარგებლობის უფლების მინიჭების, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის განხორციელების, აღრიცხვა-რეგისტრაციის, ავტორიზაცია-აკრედიტაციის, დეკლარირება-ლეგალიზაციის, თუ სხვა სახის სახელისუფლებო და საჯარო ხასიათის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია; ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას

მიძღვნილი მასალები, რომლებიც მიეკუთვნება დაწესებულების კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს (კონსულტაციები, განმარტებები, საინფორმაციო შეტყობინებები) *და ა.შ.*

ბლოკი 7 — **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების და ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: სატენდერო განცხადებები, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ამომწურავი ჩამონათვალი, გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები *და ა.შ.*

ბლოკი 8 — **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: საჯარო დაწესებულებაში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

ბლოკი 9 — **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

- მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა მაგ.: სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაცია; კონკრეტულ საშტატო ერთეულზე განსაზღვრული ფინანსური განაკვეთები; დაწესებულების სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, პროექტებისა და პროგრამების ხარჯთაღრიცხვა, დაწესებულებისათვის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) *და ა.შ.*

წინამდებარე ანგარიშში ქვემოთ მოყვანილ თემატური ბლოკების მიხედვით არსებულ მაჩვენებლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მაჩვენებლები, მათი წარმოდგენის თვალსაჩინოებისათვის, დაყოფილ იქნა ორ ძირითად კატეგორიად - ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე და არსებული ინფორმაციის ხარისხი. ამასთან, ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთი მახასიათებლის - ინფორმაციის არსებობა/არ არსებობის, ხოლო არსებული ინფორმაციის ხარისხი კი - არსებული ინფორმაციის სისრულის, ინფორმაციის აქტუალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლების ერთობლიობას. ინფორმაციის სისრულეში იგულისხმება ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მოცულობის

ხარისხი, ინფორმაციის აქტუალობაში იგულისხმება ინფორმაციის ვებ-გვერდზე გაცნობის მომენტისთვის მისი ფასეულობის ხარისხი ანუ იგივე ინფორმაციული სიახლე, ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება ვებ-გვერდზე მისი მოძებნის სიმარტივის ხარისხი, მ.შ. ინფორმაციის ლოგიკური ადგილმდებარეობა. აღნიშნული მაჩვენებლები მიღებულ იქნა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. გვ. 87 - „შეფასების კრიტერიუმები“ შემდეგ ბმულზე - http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20IV%20geo.pdf).

ინსტიტუტის ექსპერტების მიერ 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ცხრა თემატური ბლოკის მიხედვით შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბლოკებს შიგნით განთავსების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით საინფორმაციო რესურსების თემატური ბლოკი იყო წარმოდგენილი (ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 57.5%), თუმცა ხსენებულ ბლოკში არსებული ინფორმაციის ხარისხის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 34.42% შეადგენდა, ამასთან, ყველაზე არასრულყოფილად ბლოკებს შიგნით წარმოდგენილი იყო დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის თემატური ბლოკი (ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 12.82% საშუალოდ), რომელიც აგრეთვე დაბალი საშუალო ხარისხით - 33.22% გამოირჩეოდა.

ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის ყველაზე მაღალი საშუალო ხარისხით ზოგადი ინფორმაციის თემატური ბლოკი იყო წარმოდგენილი - 68,14%, რომელსაც, ამავე დროს, განთავსების რიგით მეორე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - 47,61% გააჩნდა. ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის ყველაზე დაბალი საშუალო ხარისხით კი - 29,2%, კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ თემატური ბლოკი იყო წარმოდგენილი, რომელსაც, ამავე დროს, განთავსების რიგით მესამე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - 38,23% გააჩნდა.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თემატურ ბლოკებს შიგნით ინფორმაციის განთავსების და არსებული ინფორმაციის ხარისხის დაბალი საშუალო მაჩვენებლები განპირობებულია, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის საგრძნობი ნაკლოვანებით და არსებული ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის პრაქტიკით.


ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის საშუალო განთავსების მაჩვენებელი
0,6
0,5
0,4
0,3
0,2
0,1
0
47,606%
31,446%
57,500%
38,232%
25,221%
18,364%
15,721%
14,038%
12,821%
ზოგადი ინფორმაცია
სისტემა/სტრუქტურა
საინფორმაციო რესურსები
კომპეტენციის სფეროში საქმიანობა
საშართლებრივი აქტები/ნორმატიმოქმედება
პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა
სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების პრივატიზება, ხელშეკრულებების..
საკადრო უზრუნველყოფა (ვაკანსიები)
ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა

ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხი	
ზოგადი ინფორმაცია	68,137%
სისტემა/სტრუქტურა	49,378%
საინფორმაციო რესურსები	34,420%
კომპეტენციის სფეროში საქმიანობა	29,198%
სამართლებრივი აქტები/ნორმაშემოქმედება	32,104%
პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა	38,428%
სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების პრივატიზება და ხელშეკრულებების გაფორმება	44,002%
საკადრო უზრუნველყოფა (ვაკანსიები)	29,466%
ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა	33,220%

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის რიგით მეორე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 47,61% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ყველაზე მაღალი - 68,14%.

აღნიშნული მაჩვენებლების შედარებით მაღალი საშუალო ხასიათი უმეტესწილად განპირობებულია თვით ამ ბლოკში მოქცეული ინფორმაციის ბუნებით, რა შემთხვევაშიც ხელმძღვანელ პირთა ვინაობა, ფოტოსურათები, ბიოგრაფიული მონაცემები და საჯარო დაწესებულების ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, როგორიცაა მაგ. ტელეფონის ნომერი და მისამართი, წარმოადგენს სავარაუდოდ ერთ-ერთ ყველაზე პირველ საჭიროებისამებრ განახლებად ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება საჯარო დაწესებულებების მხრიდან ვებ-გვერდებზე განთავსებას მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, რომელიც ბლოკში შემავალ ერთ-ერთ ინფორმაციულ პარამეტრს წარმოადგენს, ვებ-გვერდებზე თითქმის არცერთ შემთხვევაში არ არის სახეზე, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ვებ-გვერდებზე დაწესებულებათა ამოცანებისა და ფუნქციების აღწერაა მოყვანილი, ინფორმაცია, ხშირ შემთხვევებში, ძალზედ მწირია ან/და მოცემულია ძველი მდგომარეობით, ანუ არ ეხმაურება მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულებისათვის განსაზღვრულ ფუნქციებს. პრობლემატიკით გამოირჩევა დეტალური საქმიანობის ისტორიის ინფორმაციული პარამეტრის არსებობაც ვებ-გვერდებზე, რა შემთხვევაშიც საჯარო დაწესებულებები ძელზედ ხშირად შემოიფარგლებიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დაწესებულების დაარსების თარიღის ხსენებით.

დადებითი მაგალითი: დეტალური საქმიანობის ისტორიის აღწერა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ-გვერდზე - www.legalaid.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 95 პროცენტს გააჩნდა ზოგადი ინფორმაციის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 43%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 52%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 5 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
80,95%	**იურიდიული დახმარების სამსახური**	**72,03%**
80%	**სტატისტიკის ეროვნული სამსახური**	**88,91%**
77,27%	**აღსრულების ეროვნული ბიურო**	**86,76%**
76,19%	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამართველო**	**75%**
72,22%	**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**	**75,12%**

მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების საკმაოდ დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 31,45% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი რიგით მეორე ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - 49,38%.

ხსენებულ ბლოკს შიგნით ინფორმაციის განთავსების საკმაოდ დაბალი საშუალო მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალზედ ხშირ შემთხვევებში ისეთი ინფორმაციული პარამეტრები, როგორებიცაა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირთა სამუშაო საკონტაქტო ინფორმაცია და მათი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების აღწერა არ ქვეყნდება პროაქტიულად ვებ-გვერდებზე საჯარო დაწესებულებათა მიერ. იგივე შეიძლება ითქვას სტრუქტურული ერთეულების მიზნებისა და ამოცანების აღწერის და, არსებობის შემთხვევაში, ტერიტორიული და სათათბირო ორგანოების შესახებ შესაბამის ინფორმაციული პარამეტრების შესახებ. ამასთან, ხშირ შემთხვევებში, სტრუქტურული ერთეულების უფრო ვიწრო დანაყოფებად ჩაშლის შესახებ ინფორმაცია (მაგ. დეპარტამენტი, რომელიც შედგება განყოფილებებისაგან, სამმართველოებისაგან *და ა.შ.*) ვებ-გვერდებზე არ მოიძიება.

დადებითი მაგალითი: საქართველოს პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების ჩაშლა განყოფილებებზე საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე - www.parliament.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 85 პროცენტს გააჩნდა სტრუქტურის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 17%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 68%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 15 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
83,33%	**საქართველოს პარლამენტი**	**48,5%**
76,92%	**იუსტიციის სამინისტრო**	**38,05%**
75%	**გარემოს დაცვის სამინისტრო**	**61%**
66,67%	**სტატისტიკის ეროვნული სამსახური**	**65%**
66,67%	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**47,54%**

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 57,50% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი საკმაოდ დაბალი - 34,42%.

ხსენებულ ბლოკს შიგნით სხვა ბლოკებთან შედარებით ინფორმაციის განთავსების მაღალი საშუალო მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოცემული თემატური ბლოკი ძალზედ ზოგადი ხასიათისაა და წარმოადგენს ამა თუ იმ ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემების ერთობლივ, კრებსით შეფასების საშუალებას. ამასთან, ისეთი ინფორმაციული პარამეტრი, როგორიცაა საჯარო დაწესებულებაში შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი თითქმის არცერთ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ონლაინ მოხმარების საშუალებანი საკმაოდ იშვიათად ხვდება საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების მომხმარებელს იმ მოცულობით, რაც იძლევა ვებ-გვერდზე უკვე განთავსებული ინფორმაციის უკეთესად კლასიფიცირებისა და აღქმის შესაძლებლობას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

შემოსული საჩივრები/განცხადებები/სარჩელები

მონაცემების ფილტრაცია

ეკრანზე 87 ჩანაწერი

	რეგისტრ. #	შემოტანის თარიღი	შემომტანი		საჩივარი/განცხადება/სარჩელი	ხად განხილება	როდის განხილება	გადწყვეტილება	
			კატეგორია	დასახელება					
	07-4046	2010-07-02	სადამკვირვებლო ორგანიზაცია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (გ.ჩხეიძე)	საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ	ცესკო	2010-07-19	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	ვრცლად
	92	2010-06-17	სადამკვირვებლო ორგანიზაცია	"ადამიანის უფლებათა ცენტრი" (უ.ნანუაშვილი)	საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი თანამდებობის პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ	ცესკო	2010-06-24	არ დაკმაყოფილდა	ვრცლად
	91	2010-06-14	საარჩევნო სუბიექტი	პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" (ი. გაბისონია)	საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებების გაუქმება, საარჩევნო უბნებში ჯენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ	ცესკო	2010-06-13	განუხილველად იქნა დატოვებული, არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანისა და ასევე გასაჩივრების წესისა და ვადის დარღვევის გამო	ვრცლად
	90	2010-06-12	საარჩევნო სუბიექტი	პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" (ი. გაბისონია)	საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებების, ასევე საარჩევნო უბნებში პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების ჯენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის და განმეორებითი ჯენჭისყრის დანიშვნის შესახებ	ცესკო	2010-06-13	განუხილველად იქნა დატოვებული, არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანისა და ასევე გასაჩივრების წესისა და ვადის დარღვევის გამო	ვრცლად
	89	2010-06-08	საარჩევნო სუბიექტი	საარჩევნო ბლოკი "ალიანსი საქართველოსთვის" (ზ. შუბითიძე)	უბნის შესწორებული მონაცემების გაუქმების შესახებ	ცესკო	2010-06-09	განუხილველად იქნა დატოვებული, შესწორებული მონაცემების გაუქმების ნაწილში არაუფლებამოსილი ორგანოსადმი მიმართვიის გამო და ჯენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის განხილვის ნაწილში არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანის გამო	ვრცლად
	87	2010-06-06	საარჩევნო სუბიექტი	საარჩევნო ბლოკი "გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება"	ჯენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობის შესახებ	ცესკო	2010-06-07	განუხილველად იქნა დატოვებული, გასაჩივრების წესისა და ვადის დარღვევის, ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანის გამო	ვრცლად
	84	2010-06-05	სადამკვირვებლო ორგანიზაცია	"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო	ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის თაობაზე	ცესკო	2010-06-05	არ დაკმაყოფილდა	ვრცლად

დადებითი მაგალითი: შემოსული საჩივრების რეესტრი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე - www.cec.gov.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 95 პროცენტს გააჩნდა საინფორმაციო რესურსების თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 72%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 23%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 5 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
100%	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	56,5%
100%	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	50,1%
80%	შემოსავლების სამსახური	59,38%
80%	იურიდიული დახმარების სამსახური	54,5%
80%	კონტროლის პალატა	46,13

მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 38,23% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 29,2%.

ხსენებული დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალზედ ხშირ შემთხვევებში ისეთი ინფორმაციული პარამეტრები, როგორებიცაა დაწესებულების საქმიანობის ამსახველი კვარტალური და წლიური ანგარიშები არასრულყოფილად ან საერთოდ არ ქვეყნდება პროაქტიულად ვებ-გვერდებზე საჯარო დაწესებულებათა მიერ. პრობლემები შეიმჩნევა პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხითაც, რა შემთხვევაშიც თითქმის არ არის სახეზე იმ პროექტების/პროგრამების შესრულების წლიური, სემესტრული ან კვარტალური ანგარიშები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დაწესებულება. საკმაოდ იშვიათია ვებ-გვერდებზე ოფიციალური სტატისტიკური და დინამიკური ინფორმაციის, აგრეთვე დაწესებულებათა მმართველობის სფეროებს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმებისა და პროგნოზების აღწერათა ვებ-გვერდებზე განთავსების პრაქტიკაც. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდებზე საერთოდ არ მოიძიება იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება ან მისი თანამდებობის პირი.



დადებითი მაგალითი: უახლესი სამი წლის სტრატეგიული გეგმა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე - www.cec.gov.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 95 პროცენტს გააჩნდა კომპეტენციის სფეროში საქმიანობის ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 29%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 66%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 5 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.

ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
77,78	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	29,4%
71,43	საქართველოს პარლამენტი	56,73%
71,43	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	47,1%
70,37	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	36,45%
69,23	აღსრულების ეროვნული ბიურო	45,11%



მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 25,22% გააჩნია, ამასთან ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხითაც ხსენებული ბლოკს საკმაოდ დაბალი საშუალო მაჩვენებელი გააჩნია - 32,1% .



დადებითი მაგალითი: განახლებადი საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე - www.parliament.ge

ინფორმაციის საშუალო ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალზედ ხშირ შემთხვევებში სამართლებრივი აქტები, ვებ-გვერდებზე მოცემულია ძველი მდგომარეობით ანუ სამართლებრივი აქტები არ ექვემდებარებიან პერიოდულად განახლებული სახით ვებ-გვერდებზე განთავსებას, ხოლო თემატურ ბლოკს შიგნით ინფორმაციის ერთობლიობის განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი შეიძლება მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ იშვიათად თუ წააწყდება საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების მომხმარებელი ისეთ სამართლებრივ აქტებს, როგორებიცაა, მაგალითად, სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ დაწესებულების თანამშრომელთა ქცევის წესების ნორმებს (ეთიკის კოდექსი); იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომელთა რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დაწესებულება; დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ან/და ტერიტორიული ორგანოების ძირითადი ამოცანების, კომპეტენციის და საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი *და ა.შ.* ამასთან, თითქმის არასდროს არ ექვემდებარება პროაქტიულ გამოქვეყნებას ამა თუ იმ

საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების პროექტები და მათზე დართული განმარტებითი ბარათები

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 88 პროცენტს გააჩნდა სამართლებრივი აქტების რესურსების თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 5%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 83%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 12 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
100%	საქართველოს პარლამენტი	47,47%
72%	ქალაქ თბილისის მერია	30,81%
63,64%	აღსრულების ეროვნული ბიურო	43,5%
56,52%	გარემოს დაცვის სამინისტრო	32,85%
52,17%	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	45,5%

მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 18,36% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი საკმაოდ დაბალი - 38,43%.

ხსენებული შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ვებ-გვერდებზე თითქმის არასდროს არ მოიძიება საჯარო დაწესებულებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვები, იშვიათად თუ წავაწყდებით ვებ-გვერდებზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა დაწესებულებაში მიღების წესის აღწერასა და მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერას. არ არსებობს სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა *და მისთ.* შესახებ) განცხადებათა მიღების საჯარო დაწესებულებათა მიერ განსაზღვრული წესის აღწერის პროაქტიული გამოქვეყნების ტენდენციაც.

თუმცა, მოცემული თემატური ბლოკის დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისათვის და ზოგადად, საჯარო დაწესებულებათა ელ.გამჭვირვალობისათვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემატური ინფორმაციის პარამეტრების ერთობლიობა, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან/ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ერთეული გამონაკლისების გარდა, საერთოდ არ არის წარმოდგენილი დამონიტორინგებულ დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე.

ხსენებულთან მიმართებაში, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ე.წ. FoI (Freedom of Information) განცალკევებული გვერდის (ქვე-განყოფილების) არსებობა საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე, სადაც სასურველია, სულ ცოტა მაინც, განთავსებული იყოს შემდეგი ინფორმაციის ერთობლიობა:

- საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან,/ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობა, მისი საკონტაქტო ინფორმაცია;
- მომხმარებელთათვის შეთავაზებული ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

- საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები *და ა.შ.*);
- საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში;

- საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.



დადებითი მაგალითი: საჯარო ინფორმაციის ღიაობისათვის მიძღვნილი განცალკევებული ქვე-განყოფილება აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე - www.nbe.gov.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, 93 პროცენტს გააჩნდა საინფორმაციო რესურსების თემატურ ბლოკში გაერთიანებული შესაბამისი ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი

გააჩნდა ვებ-გვერდების 4%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 89%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 7 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
65,38%	აღსრულების ეროვნული ბიურო	73,32%
61,54%	იუსტიციის სამინისტრო	36,06%
57,69%	შემოსავლების სამსახური	42,9%
53,85%	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	24,86%
46,15%	საგარეო საქმეთა სამინისტრო	23,79%

ბლოკი 7

საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების და ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 15,72% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ზომიერად დაბალი - 44%.

ხსენებული შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ვებ-გვერდებზე არ მოიძიება საჯარო დაწესებულებათა და ფიზიკურ/ იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე საჯარო დაწესებულებათა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და შესაბამისი პირობები. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის შესახებაც (მ.შ. განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი).

პრობლემატიკით გამოირჩევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკაც, რა შემთხვევაშიც, შესაბამისი ინფორმაცია (მ.შ. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი) ან საერთოდ არ არსებობს ვებ-გვერდებზე, ან მოცემულია მწირი მოცულობით და ხშირ შემთხვევებში ძველი მდგომარეობით.



დადებითი მაგალითი: სატენდერო განცხადებათა არქივი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე - www.mdf.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 41 პროცენტს გააჩნდა ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ თემატურ ბლოკში გაერთიანებული შესაბამისი ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 10%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 31%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 59 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ანუ დამონიტორინგებულ დაწესებულებათა ნახევარზე მეტს საერთოდ არ გააჩნდათ თავიანთ ვებ-გვერდებზე არანაირი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების, პრივატიზების ან ხელშეკრულებათა შესახებ.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
100%	მუნიციპალური განვითარების ფონდი	69,6%
100%	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	33%
80%	საქართველოს ეროვნული ბანკი	42,13%
75%	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	26,83%
60%	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	70,83

მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 14,04% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი რიგით მეორე ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 29,47% გააჩნია.

ხსენებული ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ვებ-გვერდებზე არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, მისი ინფორმაციული შიგთავსი უმეტესწილად შემოიფარგლება უახლეს ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ცნობებით, რა ცნობებიც აღნიშნულ თანამდებობათა დაკავების შემდგომ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე აღარ მოიძიება ანუ არ არსებობს საჯარო დაწესებულებათა საკადრო უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის არქივირების პრაქტიკა. ისეთი ინფორმაციული პარამეტრების ერთობლიობა, როგორიცაა ინფორმაცია ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის აღწერა, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და მისთ.* არასრულყოფილი სახით ან საერთოდ არ მოიძიება ვებ-გვერდებზე. ამასთან, იმ ერთეულ მაგალითებზე, როდესაც ვებ-გვერდებზე პროაქტიულად ქვეყნდება თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები, არ არსებობს მითითებები, თუ რა საფუძვლით იქნა პროაქტიულად გამოქვეყნებული კანდიდატთა პერსონალური მონაცემები საჯარო დაწესებულების მიერ ვებ-გვერდზე (თანხმობის მიღება, სამართლებრივი აქტის პირობა *და ა.შ.*).



დადებითი მაგალითი: ვაკანსიათა არქივი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - www.mfa.gov.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 32 პროცენტს გააჩნდა საკადრო უზრუნველყოფის თემატურ ბლოკში გაერთიანებული შესაბამისი ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 11%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 21%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 68 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ანუ დამონიტორინგებულ დაწესებულებათა უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნდათ თავიანთ ვებ-გვერდებზე არანაირი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების, პრივატიზების ან ხელშეკრულებათა შესახებ.



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
100%	**საგარეო საქმეთა სამინისტრო**	**26%**
80%	**შსს აკადემია**	**33,75%**
80%	**გარემოს დაცვის სამინისტრო**	**20%**
80%	**საქართველოს სახალხო დამცველი**	**18%**
60%	**ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**	**100%**

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ თემატურ ბლოკს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 12,82% გააჩნია, საკმაოდ დაბალია ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხის შესაბამისი მაჩვენებელიც - 33,22%.

ხსენებული ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ვებ-გვერდებზე არსებობს განყოფილება „ბიუჯეტი“, ან როდესაც შესაბამისი განყოფილების ინფორმაციული შიგთავსი არ არის ცარიელი, უმეტესწილად სახეზეა დაუარქივებელი ინფორმაცია ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ. ამასთან, ისეთი ინფორმაციული პარამეტრების ერთობლიობა, როგორიცაა ბიუჯეტის შესრულების ბალანსი (ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია), საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და კონკრეტულ საშტატო ერთეულზე განსაზღვრული/დამტკიცებული ფინანსური განაკვეთები, სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, პროგრამების, პროექტების და გრანტების ხარჯთაღრიცხვები და სარეზერვო ფონდებიდან საჯარო დაწესებულებისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებათა მხრიდან ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

ინსტიტუტის მიერ გასულ ორ წელიწადს განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ანალოგიურად, წელსაც ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერებზე მათ დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ, უმეტეს შემთხვევებში, გაუხსნელი რჩება.



	შემოსავლები	724 622,8	666 683,6	624 900,0	631 400,0	636 400,0	641 400,0
	არაფინანსური აქტივების კლება	21 105,0	30 560,0	22 000,0	22 500,0	22 500,0	22 500,0
	ფინანსური აქტივების კლება (ნამოის გამოკლებით)	893,0	1 896,6	1 100,0	1 100,0	1 100,0	1 100,0
	ვალდებულებების ზრდა	14 144,0	3 500,0	-	-	-	-
2	გადასახდელები	768 504,4	715 540,2	648 000,0	655 000,0	660 000,0	665 000,0
	ხარჯები	606 311,5	561 205,5	425 453,6	442 155,9	451 342,1	454 815,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	148 657,2	134 561,2	204 927,1	193 550,0	193 600,0	194 870,0
	ფინანსური აქტივების ზრდა (ნამოის გამოკლებით)	3 802,8	2 606,8	3 167,5	6 167,5	7 167,5	7 667,5
	ვალდებულებების კლება	9 732,9	17 166,7	14 451,8	13 126,6	7 890,4	7 646,6
3	ნამოის ცვლილება	7 739,6	12 900,0	-	-	-	-

დადებითი მაგალითი: წლების მიხედვით დაარქივებული საბიუჯეტო ინფორმაცია ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდზე - www.tbilisi.gov.ge

დამონიტორინგებული 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 49 პროცენტს გააჩნდა დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის თემატურ ბლოკში გაერთიანებული შესაბამისი ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების მხოლოდ და მხოლოდ 3%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 46%-ს. **დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 51 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ანუ დამონიტორინგებულ დაწესებულებათა დაახლოებით ნახევარს საერთოდ არ გააჩნდათ თავიანთ ვებ-გვერდებზე არანაირი ინფორმაცია დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ.**



ბლოკის საუკეთესო მაჩვენებლები არსებობის მიხედვით		
ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე	დაწესებულების დასახელება	წარმოდგენილი ინფრომაციის ხარისხი
75%	**ქალაქ თბილისის მერია**	**49,58**
75%	**საზოგადოებრივი მაუწყებელი**	**27,33**
57,14%	**საავტომობილო გზების დეპარტამენტი**	**16%**
50%	**საქართველოს ეროვნული ბანკი**	**55%**
50%	**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**	**16,25%**

5 ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის მონიტორინგი

როგორც წინამდებარე ანგარიშში ზემოთ აღვნიშნეთ, მონიტორინგს დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული საჯარო დაწესებულლებების ოფიციალური ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხის შეფასების პარამეტრები. აღნიშნული ინდიკატორები წარმოადგენენ შეფასების ცხრილის შიგნით ცამეტ თემატურ ბლოკში გაერთიანებულ 121 პარამეტრს (იხ. პარამეტრების ცხრილი შემდეგ ბმულზე - http://www.idfi.ge/?cat=monitoring_method_2&lang=ka). მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგებით დაინტერესებული მკითხველის ინტერესის საგანს, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, წარმოადგენს თემატურად დაყოფილი იმ მაჩვენებლების გაცნობაც, რომლებიც ასახავენ საქართველოს საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხს.

სანამ უშუალოდ კონკრეტულ ინფორმაციულ ბლოკებთან მიმართებაში კვლევის შედეგად გამოვლენილ შესაბამის მაჩვენებლების მიმოხილვას წარმოგიდგენდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ბლოკების შესახებ ზოგად ინფორმაციას.

თემატური ბლოკები წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების პროგრამული და ვიზუალური ნაწილის შეფასებისათვის დაჯგუფებულ პარამეტრებს.

ამგვარი ჯგუფების, იგივე ბლოკების, რაოდენობა ცამეტს ითვლის:

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდის რუკა, მთავარი მენიუს სწორი პოზიციონირება, მენიუს დაყოფა მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით, რაიმე სერვისის/მომსახურების სწორედ გამოყენების ვიდეო გიდის არსებობა *და ა.შ.*

ბლოკი 2

ძიება

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდზე მარტივი ძიებისა და დეტალური ძიების ფუნქციების არსებობა, სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის მიხედვით ძიების ფუნქციის არსებობა, ძებნის ფუნქცია თარიღების მიხედვით და ძიების შედეგებში საკვანძო სიტყვების გამოყოფა.

ბლოკი 3

მარტივად აღქმის კრიტერიუმები

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: მინიმალური ფონტის ზომის განსაზღვრა, ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფა სხვადასხვა საშუალებებით, ფერების რეგულაცია, ვიდეოს მასალის სწორ ფორმატში წარმოდგენა, სათაურების ფორმატირება, ვებ-გვერდში არსებული დოკუმენტების HTML ფორმატში განთავსება, საბეჭდ ვერსიებში სიმბოლიკის თანდართვა, ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯარო დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის არსებობა *და ა.შ.*

ბლოკი 4

საკონტაქტო ფორმები და წესები

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართების სტანდარტების გათვალისწინება, საკონტაქტო ფორმის არსებობა, საჯარო დაწესებულების ადგილმდებარეობის ინტერაქტიული რუკის არსებობა და ოფიციალური ვებ-გვერდის ვებ-ადმინისტრატორისა და ვებ-გვერდის ფუნქციონირებასა და ინფორმაციულ განახლებაზე თვალყურის დევნაზე პასუხისმგებელი პირის/საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ელ.ფოსტის მისამართი ტექნიკური ხასიათის შენიშვნების მისაწოდებლად.

ბლოკი 5

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: მნიშვნელოვანი ინფორმაციის ვებ-გვერდზე არქივირება, ვებ-რესურსის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ქვეყნიდან, საჯარო დაწესებულების საქმიანობის თემატიკის შესაბამის სიახლეთა ჩამონათვალი, ტექნიკურად გამართული სერვერი, ამოსაბეჭდი ვერსიის ფუნქციის არსებობა, RSS - საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის განახლებაზე თვალყურის დევნის საშუალება, საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის ძირითადი განყოფილებების უცხოენოვანი ვარიანტების არსებობა, მონაცემების ექსპორტის მარტივი ფორმატები (XML , JSON ან სხვა საშუალებები) *და ა.შ*

ბლოკი 6

ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: WAP პროტოკოლის მხარდაჭერა, რეგისტრაციის საშუალება მობილური ტელეფონის საშუალებით, ელ.სერვისების ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან .

ბლოკი 7

სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდის იდენტური ჩატვირთვა ბრაუზერებში Opera, Internet Explorer, Firefox, Chrome და Safari, ვებ-გვერდის ზომების გათვალისწინება სტანდარტების მიხედვით, ყველა ბრაუზერში პროგრამული კოდის იდენტური ფუნქციონირება, ყველა გვერდის უნიკალური აღწერა და დასახელება, სათაურების პროგრამული კოდით ფორმატირება, „ჩემი საიტის“ ფუნქცია (ბუქმარქი) *და ა.შ.*

ბლოკი 8

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, გაზიარების ფუნქცია Facebook-ზე ან სხვა სოციალურ სერვისებზე, კონტენტის შეფასების საშუალება, საჯარო დაწესებულების ოფიციალური გვერდის არსებობა Facebook-ზე, საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთული სურათების პირდაპირი ბმულის მოპოვების საშუალება და კონტენტის გაზიარების/გავრცელების საშუალება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვებ-გვერდიდან.

ბლოკი 9

ელექტრონული ჩართულობა

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდზე რუბრიკის "კითხვა-პასუხი" ან "ხშირად დასმული შეკითხვები" არსებობა, მომხმარებლის ოთახის ფუნქცია, შეთავაზების ინიცირების საშუალება პირდაპირ ვებ-გვერდიდან, ვებ-გვერდზე ონლაინ კომუნიკაციის საშუალება, ვებ-გვერდზე ოფიციალურ პირთა გამოხმაურება მოქალაქეთა წინადადებებზე და შეკითხვებზე *და ა.შ.*

ბლოკი 10

ონლაინ სერვისები

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: სტატისტიკა უნიკალურ მომხმარებელთა შესახებ, სიახლეების გამოწერის ფუნქცია, ტენდერების საძიებო სისტემა, ინტერაქტიული ფორმების (მოსაკრებელი, ტენდერი, ვაკანსია, გადასახადი) შევსების, ამობეჭდის და გაგზავნის შესაძლებლობა საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ელ.გადახდა ვებ-გვერდის გამოყენებით, ელექტრონული გზავნილის (mail) მიღების ონლაინ დადასტურება *და ა.შ.*

ბლოკი 11

უნარშეზღუდულ მომხმარებელთა ხელშეწყობა

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: ვებ-გვერდების გრაფიკული ელემენტების დამალვის ფუნქცია, ვებ-გვერდზე კლავიატურით სწრაფი ბრძანებების განხორციელების ფუნქცია, შეზღუდული მხედველობის პირებისთვის რადიკალურად განსხვავებული ფერთა გამა, შრიფტის გაზრდის/დაპატარავების შესაძლებლობა, ტექსტის გახმოვანების ფუნქცია.

ბლოკი 12

უსაფრთხოება

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: HTTPS პროტოკოლის მხადაჭერა, CAPTCHA კოდის არსებობა საკონტაქტო ფორმებში, GET და POST-ის ტიპის ცვლადების ფილტრაცია.

ბლოკი 13

დამატებითი პარამეტრებები

- ბლოკი მოიცავს იმგვარი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორსაც წარმოადგენენ: საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია (SEO), ბმულების გამართულობა, მთლიანი დიზაინის შეფასება, დიზაინში სამგანზომილებიანი ობიექტების გამოყენება, ვებ-გვერდის Favicon-ბის გამოყენება, საჯარო დაწესებულების ფინანსური ბრუნვის, ბიუჯეტის შესრულების ან დაგეგმვის სტატისტიკური ინფორმაციის გრაფიკული ფორმების არსებობა ვებ-გვერდზე, ინფორმაციის ფილტრაციისა და სორტირების საშუალება ვებ-გვერდზე, სტატისტიკური ინფორმაციის ექსპორტირების საშუალება სხვა და სხვა ფორმატში (XLS, XML და სხვა), ვებ-გვერდის დომენის gov.ge არსებობა *და ა.შ.*


შეფასებული ბლოკების საშუალო მაჩვენებლები
80
70
60
50
40
30
20
10
0
70,99%
37,69%
51,17%
29,57%
41,68%
0,64%
58,93%
28,02%
10,58%
11,28%
0,38%
25,32%
39,82%
ნავიგაცია
ძიება
მარტივად ალმის კრიტერიუმები
საკონტაქტო ფორმები და წესები
ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან wap
სინტაქსურად გამართული ვიზუალური კოდი
ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
ელექტრონული ჩართულობა
ელექტრონული სერვისები
უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის...
ფასდაკლება
დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები

ოფიციალური ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები ბლოკების მიხედვით

ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ნავიგაციის ძირითადი კრიტერიუმები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, ხშირ შემთხვევაში, ნავიგაციის მთავარ ბლოკში - ვებ-გვერდის მენიუში გათვალისწინებულია ყველა კატეგორიის დასახელება, თავისივე ბმულებით, თუმცა მათი პრიორიტეტების მიხედვით დაწყობა და მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით განაწილება იშვიათად გვხვდება. ასევე აღსანიშნავია ინტუიციურად ადვილად მისახვედრი გარემოს კრიტერიუმი, რომელსაც იშვიათად ექცევა ყურადღება. ამ კრიტერიუმის უგულებელყოფა ხშირად ხდება ისეთ ვებ-გვერდებზე, რომლებიც ინფორმაციის დიდ რაოდენობას მოიცავენ. ნავიგაციის ბლოკის ერთ-ერთი პარამეტრი არის ვიდეო გიდის არსებობა, რომელიც ვიდეო ფორმატში, გახმოვანებასთან ერთად ზუსტად ასახავს ვებ-გვერდის სწორ მოხმარებას, სტრუქტურის გაცნობას და ელ. სერვისების მიზანმიმართულად გამოყენებას. ამგვარად მომხმარებელი მარტივ ფორმაში, რამოდენიმე წუთში განსაზღვრავს ვებ-გვერდის დანიშნულებასა და მის შესაძლებლობებს. მსგავს ფორმატში ვებ-გვერდის წარდგენა ძალიან სასარგებლოა იმ მომხმარებლისთვის, ვისაც ნაკლებად უწევს პერსონალურ კომპიუტერთან შეხება. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ ვიდეო გიდს იყენებს მხოლოდ რამოდენიმე საჯარო დაწესებულება.

ნავიგაციის საშუალო მაჩვენებელი



ძიება

ვებ-გვერდის ლოკალური საძიებო სისტემა ერთ-ერთი რთული მოდულია. საჯარო დაწესებულებებათა ვებ-გვერდების უმეტესობა იყენებს მარტივ საძიებო სისტემას, რომელიც ინტეგრირებულია ვებ-გვერდზე. დეტალური საძიებო სისტემა ნაკლებად გვხვდება საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, თუმცა მათი არსებობა აუცილებელია, რადგან მარტივი საძიებო სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს მითუმეტეს, თუ ელ.რესურსზე დიდი ოდენობის მასალაა განთავსებული.

სურათზე ნაჩვენებია მარტივი ძიების შედეგები, სადაც ინფორმაცია გვხვდება ყველა კატეგორიიდან, ამ შემთხვევაში „საკონტაქტო ფორმიდან“ და „სიახლეებიდან“:



საილუსტრაციო მაგალითი - საქართველოს კონტროლის პალატის ვებ-გვერდი: მარტივი საძიებო სისტემის გამოყენება.

დეტალური საძიებო სისტემით შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება რამდენიმე კატეგორიაში, მაგალითად სიახლეებში. ამგვარად მომხმარებელი იღებს მეტად რელევანტურ შედეგებს.

დეტალური საძიებო სისტემის შედეგები - ინფორმაცია იძებნება მხოლოდ მითითებულ კატეგორიაში, მაგალითად „სიახლეებში“:



საილუსტრაციო მაგალითი - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე დეტალური საძიებო სისტემის გამოყენება

ძიების საშუალო მაჩვენებელი



საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე მარტივად აღქმის ძირითადი კრიტერიუმები დაცულია, თუმცა დეტალები, რომლებიც განაპირობებს მომხმარებელთა კომფორტს და ასევე საძიებო სისტემებში ოპტიმიზაციას, ხშირ შემთხვევებში, იგნორირებულია. ყველაზე ხშირად არ არის გათვალისწინებული URL-ს სწორი გენერაციის ფორმები, URL - ვებ-გვერდის სრული მისამართი გვერდებზე გადასვლის შემდგომ უნდა იყოს გენერირებული ისეთი იერარქიით, როგორითაც მომხმარებელი მოძრაობს ვებ-გვერდზე - თუ მომხმარებელი იმყოფება სიახლეების კატეგორიაში - ვებ-გვერდის URL უნდა იყოს შემდეგი ფორმატის: www.site.gov.ge/news და არა შემდეგი ფორმატის: www.site.gov.ge/?cur_category=1

საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე URL მაგალითი:



უარყოფითი მაგალითი - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, URL-ს გენერაცია



დადებითი მაგალითი - გამოცდების ეროვნული ცენტრი, URL-ს გენერაცია.

აგრეთვე აღსანიშნავია საჯარო ელექტრონულ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა - ცარიელი გვერდები. ხშირად, სხვადასხვა ინფორმაციის ძიების დროს მომხმარებელი ვებ-რესურსზე ხსნის გვერდს, სადაც ცარიელი შიგთავსი ხვდება. ეს გამოწვეულია ტექნიკური შეცდომის ან მიმდინარე გვერდზე ინფორმაციის არარსებობის გამო. როგორც წესი, მსგავს გვერდებზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ცარიელი გვერდის არსებობის მიზეზი, მაგ. „ტექნიკური ხარვეზი“ ან „ინფორმაცია მზადების პროცესშია“.

მარტივად აღქმის კრიტერიუმების დაცვის საშუალო მაჩვენებელი



საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმებისა და წესების დაცვა აუცილებელია, რადგან ეს არის პირველი პირობა კომფორტული ურთიერთობისა მომხმარებელსა და საჯარო დაწესებულებას შორის.

სამწუხაროდ საჯარო დაწესებულებების უმეტესობას საკუთარ ვებ-გვერდებზე არ აქვთ განთავსებული შესაბამისი ინტერაქტიული რუკა, რომელიც აუცილებელია ყველა საჯარო დაწესებულებისთვის.

უარყოფითი მაგალითი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საკონტაქტო გვერდი.



დადებითი მაგალითი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საკონტაქტო გვერდზე ინტერაქტიული რუკის არსებობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ხდება ელექტრონული ფოსტის სტანდარტების უგულებელყოფაც.

საკონტაქტო ფორმებისა და წესების დაცვის საშუალო მაჩვენებელი



ბლოკი 5

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობის ბლოკის ყველაზე მნიშვნელოვანი ვებ-გვერდის პარამეტრებია მულტიენოვანი ვერსიის არსებობა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის არქივირება და ტექნიკურად გამართული სერვერი.

მულტიენოვანი ვერსიის შემთხვევაში ხშირად გვხვდება ისეთი შეცდომები როგორიც არის ვებ-გვერდის კონტენტის არასრულყოფილი თარგმანი, მაგალითად, ინგლისურ ვერსიაში არ არის სრულყოფილად გადათარგმნილი წინადადებები, ან დარჩენილია ბანერები, რომლებზეც ტექსტი ქართულად არის შესრულებული.

მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის არასათანადო არქივირება. ელექტრონულ არქივს იყენებს საჯარო დაწესებულებათა გამოკვეთილად მცირე რაოდენობა. ვებ-გვერდზე მოძველებული, არააქტუალური ინფორმაციის წაშლა არ უნდა ხდებოდეს, მისი შენახვა რეკომენდირებულია არქივის სახით.

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი



ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან

WAP (Wireless Application Protocol) ტექნოლოგიები ზოგადად მოძველებული და არააქტუალურია, თუმცა მას ჯერ კიდევ მოსახლეობის დიდი ნაწილი იყენებს საქართველოში, შესაბამისად თანამედროვე ვებ-რესურს უნდა გააჩნდეს ყველა თვისება და საშუალება, რამაც შეიძლება იგი გახადოს მეტად ხელმისაწვდომი, მიუხედავად იმისა, ტექნოლოგია მოძველებულია თუ არა.

სამწუხაროდ ამჟამად საჯარო დაწესებულებების არც-ერთი ვებ-გვერდი არ იყენებს ზემოთ აღნიშნულ ტექნოლოგიას. რამოდენიმე ვებ-გვერდზე არის მხოლოდ Sub Domain-ი გათვალისწინებული WAP ტექნოლოგიისთვის. არ არის გამოყენებული არც სხვა თანამედროვე აპლიკაციები (PDA, Android და ა.შ.). ზოგადად ვებ-გვერდებისა ინტეგრაცია მობილური კავშირგაბმულობის საშუალებებთან საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. თუმცა, გვხვდება იშვიათი გამონაკლისებიც, მაგალითად ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოწერის SMS სერვისი.

დადებითი მაგალითი - ქალაქ თბილისის მერიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოწერის SMS სერვისი.

WAP ტექნოლოგიის ხელშეწყობის საშუალო მაჩვენებელი



სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი უზრუნველყოფს ვებ-გვერდის სერვერზე ორიენტირებული პროგრამირებისა (Server-side programming) და მომხმარებლის კომპიუტერზე ორიენტირებული პროგრამირების (Client-side programming) ნორმალურ ფუნქციონირებას, აქვე იგულისხმება სხვადასხვა ბრაუზერებში ვებ-გვერდის იდენტური მუშაობა და იდენტური სტრუქტურის (ვიზუალის) გენერაცია.

ყველაზე გავრცელებული პრობლემა გვხვდება Client Side პროგრამული კოდის გაუმართაობა, რის გამოც ყველა ბრაუზერში ვებ-გვერდის მართებული ჩატვირთვა და ფუნქციონირება არ ხდება. ასევე საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ნახევარზე მეტი არ იყენებს საძიებო და საკონტაქტო ველებში ქართული უნიკოდის (ფონტის) მხადაჭერას, რაც გულისხმობს ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიების ველებში ქართული ფონტის ავტომატურ გამოყენებას.



უარყოფითი მაგალითი - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდი, საძიებო ველი.

დადებითი მაგალითი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საძიებო ველში ქართული ფონტის ავტომატური გამოყენება.

სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდის საშუალო მაჩვენებელი



ბლოკი 8

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

დღესდღეობით სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება სოციალური ქსელების აქტიური გამოყენება საჯარო სექტორის მიერ. ამასთან, ყველაზე პოპულარული ქსელები, როგორსაც წარმოადგენენ Facebook, Twitter, Flickr *და სხვა* იძლევიან ვებ-გვერდების სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციის საშუალებას. ამგვარად საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდები და მათი ელექტრონული სერვისები ხდება მეტად ცნობადი და გამოყენებადი. მონიტორინგმა ცხადჰყო, რომ ვებ-გვერდების უმეტესობა სრულყოფილად არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან.

ინტეგრაციაში იგულისხმება, ვებ-გვერდში სოციალური ქსელის მოდულების განთავსება, როგორიც არის გაზიარების, შეფასების ფუნქცია და ასევე, სოციალურ ქსელში ოფიციალური გვერდის არსებობა. მონიტორინგის პროცესში პრიორიტეტულს წარმოადგენდა ორი სოციალური ქსელი - Facebook-ი და Twitter-ი.

სოციალურ ქსელებში ინტეგრაციის საშუალო მაჩვენებელი



ბლოკი 9

ელექტრონული ჩართულობა

საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებში ელექტრონული ჩართულობა ზოგადად ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დანერგილი. სრულყოფილად ზემოთ აღნიშნული ბლოკის ყველა პარამეტრი არც-ერთ საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდს არ აქვს დაკმაყოფილებული.

ყველაზე ხშირად გათვალისწინებულია ელექტრონული ჩართულობის ბლოკის მხოლოდ ერთი პარამეტრი - „ხშირად დასმული კითხვები“, ხოლო დანარჩენი პარამეტრების, მაგ. ისეთების როგორიცაა შეთავაზების ინიცირების საშუალება პირდაპირ ვებ-გვერდიდან, ვებ-გვერდზე ონლაინ კომუნიკაციის საშუალება, ვებ-გვერდზე ოფიციალურ პირთა გამოხმაურება მოქალაქეთა წინადადებებზე და შეკითხვებზე, უმეტესობა ხშირად უგულებელყოფილია.

ელექტრონული ჩართულობის საშუალო მაჩვენებელი



ონლაინ სერვისები

ონლაინ სერვისების მოდულები მომხმარებლისთვის არის ალტერნატიული და ამავე დროს კომფორტული გზა ინფორმაციის მისაღებად და სხვადასხვა პროცედურების ჩასატარებლად.

ზემოთ აღნიშნული ბლოკის მნიშვნელოვანი პარამეტრებია სიახლეების გამოწერის ფუნქცია, ინტერაქტიული ფორმების (მოსაკრებელი, ტენდერი, ვაკანსია, გადასახადი) არსებობა ვებ-გვერდზე, სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო (საჯარო ინფორმაციის ან პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვნა) ქმედებათა განსახორციელებლად მიმართვის ფორმის შევსების და ამობეჭვდის საშუალება ვებ-გვერდიდან, საკუთარი პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის საშუალება და რაც მთავარია, თანხის დაფარვა/გადახდა ვებ-გვერდის გამოყენებით.

მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, რომ ონლაინ სერვისები არც თუ ისე ხშირად არის ინტეგრირებული ვებ-გვერდებში. თანხის გადახდა ვებ-გვერდის გამოყენებით გათვალისწინებულია მხოლოდ რამოდენიმე ვებ-გვერდზე.

ელექტრონული სერვისების საშუალო მაჩვენებელი



უნარშეზღუდულ მომხმარებელთათვის ხელშეწყობა

უნარშეზღუდულ მომხმარებელთათვის ხელშეწყობა საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე ფაქტიურად არ ხდება. ისეთი ფუნქციები, როგორებიც არის: ტექსტის კონტრასტულ ფერებში გადაყვანის ფუნქცია, კლავიატურის სწრაფი ბრძანებების განხორციელების ფუნქცია *და სხვა* არც-ერთ ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული.

ზემოთ აღნიშნული ბლოკის ერთ-ერთი პარამეტრი „შრიფტის გაზრდის/დაპატარავების შესაძლებლობა“ გათვალისწინებულია მხოლოდ რამოდენიმე ვებ-გვერდზე.

უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ხელშეწყობის საშუალო მაჩვენებელი



საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდები წარმოადგენენ იმ უნიკალურ რესურსს, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ და ასევე, გამოიყენოს დანერგილი ელექტრონული აპლიკაციები სხვადასხვა საჯარო მომსახურების მარტივად მისაღებად. მსგავსი რესურსების უსაფრთხოება არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების უსაფრთხოების სისტემების ამჟამინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე გამართული, რადგან უსაფრთხოების ბლოკის პარამეტრების უმრავლესობა უმეტესწილად არ არის დაცული. ვებ-გვერდებში არსებული ხარვეზები, როგორსაც წარმოადგენენ XSS, Sql injection, RFI Bugs *და სხვა,* არ არის აღმოფხვრილი და ამჟამად ყველა ის ვებ-გვერდი სადაც, ზემოთ აღნიშნული ხარვეზები ფიქსირდება საფრთხის წინაშეა. ამავე დროს, უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს HTTPS (SSL) პროტოკოლი, რომელსაც ვებ-გვერდების მხოლოდ მცირე რაოდენობაზე არის გათვალისწინებული.

უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების არსებობის საშუალო მაჩვენებელი



ბლოკში „დამატებითი პარამეტრები“ შედის ისეთი მოდულები და ფუნქციები, როგორიც არის: დიზაინში სამგანზომილებიანი ობიექტების გამოყენება, ინფორმაციის სორტირებისა და ფილტრაციის საშუალება *და სხვა*. ხსენებული წარმოადგენს დამატებით პარამეტრებს, რომლებიც უფრო კომფორტულ და ვიზუალურად სასიამოვნო გარემოს ქმნიან ვებ-რესურსების გამოყენებისას.

ზოგადად, რაც შეეხება საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების დიზაინს, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა დიზაინი სტანდარტულია და არ შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს. მათზე ინფორმაციის განლაგება, რომელიც ემყარება სტანდარტულ 2 სვეტიან ან 3 სვეტიან სტრუქტურას საკმაოდ მოძველებულია. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად:



დადებითი მაგალითი - გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდის დიზაინი



დადებითი მაგალითი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი

ასევე ყველა საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი სასურველია იყოს gov.ge დომენზე, თუმცა, დღეს-დღეობით აღნიშნული არ არის ყველა საჯარო დაწესებულებისთვის სტანდარტი. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ კომფორტისათვის და მოქნილობისათვის შესაძლებელია ალტერნატიული დომენის მიმაგრება იგივე ვებ-გვერდზე.

ასევე ზემოთ აღნიშნულ ბლოკში გვხვდება Favicon-ის (ხატულა) გამოყენება ვებ-გვერდში, ფინანსური ბრუნვის, ბიუჯეტის შესრულებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გრაფიკული ფორმების არსებობა ვებ-გვერდზე.

ზემოთ აღნიშნული პარამეტრები ძალიან სასარგებლოა მომხმარებლისთვის, თუმცა მათი გამოყენება საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე იშვიათად ხდება, რადგან მათი შექმნა საჭიროებს დამატებით ძალისხმევას.



უარყოფითი მაგალითი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, Favicon

დადებითი მაგალითი - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, Favicon-ის გამოყენება.

დამატებითი პარამეტრების გათვალისწინების საშუალო მაჩვენებელი



6 დასკვნა

უშუალოდ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგის შედეგების საბოლოო შეჯამების მკითხველისათვის წარმოდგენამდე, უპრიანად მიგვაჩნია, ორი სიტყვით შევეხოთ 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის (პროექტი - "საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი") ფარგლებში კვლევას დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ იმ ზოგად ტენდენციებს, რომლებიც შესაძლებელია გამოვლებილ იქნეს 2011 წელს განხორციელებული მონიტორინგის (პროექტი „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი“) ფარგლებში შესაბამის საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდების მაჩვენებლებთან ურთიერთშედარების გზით.

2010 წლის მონიტორინგის სამიზნე ობიექტებს წარმოადგენდა 48 საჯარო დაწესებულების (საქართველოს სამინისტროები, მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ერთი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი) ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელთა ურთიერთშედარება შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს 2011 წელს მონიტორინგს დაქვემდებარებულ 46 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მაჩვენებლებთან, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვებ-გვერდი 2011 წელს არ დაექვემდებარა მონიტორინგს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინსტიტუტის ვერსიით ვებ-გვერდის ჯამური რეიტინგი წარმოადგენს ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხისა და ტექნიკური გამართულობისა/ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხის საშუალო არითმეტიკულს.

შესაბამისი მაჩვენებლების ურთიერთშედარების შედეგად გაირკვა, რომ **ერთი წლის განმავლობაში კვლევას დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებათა ოფიციალური ვებ-გვერდების ჯამურმა რეიტინგმა საშუალოდ 7,5 პროცენტიანი პროგრესი განიცადა, მ.შ. სამინისტროების ჯგუფმა საშუალოდ 5,6 პროცენტიანი პროგრესი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჯგუფმა - საშუალოდ 8,5 პროცენტიანი პროგრესი.**

ზემოთხსენებული უმეტესწილად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ 2011-2012 წლებში საქართველოში შეიმჩნოდა მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციების მატარებელი დაწესებულებების მხრიდან ზოგადად ვებ-გვერდების განახლებისა და ტექნიკური გამართვის მზრდადი პრაქტიკა.



კონკრეტულ საჯარო დაწესებულებათაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჯგუფში შემავალ დაწესებულებათა ვებ-გვერდების ჯამური რეიტინგის მნიშვნელოვანი ზრდა, რა შემთხვევაშიც ჯამური რეიტინგით ყველაზე პროგრესირებადი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მაჩვენებელმა 21,2 პროცენტი შეადგინა. მოცემულ ჭრილში, სამინისტროების ჯგუფიდან, აღსანიშნავია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდის 15,75 პროცენტიანი პროგრესი.

ამასთან, მაჩვენებლებმა გამოავლინეს, რომ არსებობს კონკრეტული საჯარო დაწესებულებები, რომელთა ოფიციალური ვებ-გვერდების ჯამურმა რეიტინგმა განიცადეს რეგრესი. სამინისტროების ჯგუფიდან ამგვარ დაწესებულებას მიეკუთვნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჯგუფიდან - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და მუნიციპალური განვითარების ფონდი.


ჯამური რეიტინგით 10 საუკეთესო პროგრესის მქონე ვებ - გვერდი
21,18%
20,44%
19,28%
18,70%
15,75%
15,27%
14,47%
13,57%
13,16%
11,24%
პროგრესი
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
ტურიზმის ეროვნული სააგენტო
სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის..
ფინანსთა სამინისტროს აკადემია
იუსტიციის სამინისტრო
ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
იუსტიციის სასწავლო ცენტრი
საგაჭრო-სამრეწველო პალატა
გამოცდების ეროვნული ცენტრი
სასჯელაღსრულების , პრობაციისა და იურიდიული დახმარების..


დაწესებულებების ჯამური რეიტინგის დინამიკა
2011-2012
2010-2011
აღსრულების ეროვნული ბიურო 43,99 36,76
ფინანსთა სამინისტრო 38,07 31,8
გარემოს დაცვის სამინისტრო 33,095 31,16
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 28,78 30,68
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 37,18 30,18
სამოქალაქო რეესტრის სააგენტო 28,475 29,32
საგარეო საქმეთა სამინისტრო 31,87 28,26
სოციალური მომსახურების სააგენტო 34,07 28,12
თავდაცვის სამინისტრო 28,14 26,51
შინაგან საქმეთა სამინისტრო 31,67 25,88
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24,62 24,59
დაცული ტერიტორიების სააგენტო 25,28 24,57
მუნიციპალური განვითარების ფონდი 24,16 24,57
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 34,385 24,48
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ.. 27,935 24,31
იურიდიული დახმარების სამსახური 32,65 22,6
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო 27,35 22,35
არასაპატიმრო სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო 23,185 22,23
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო 28,415 22,17
იუსტიციის სამინისტრო 37,505 21,76
ნოტარიუსთა პალატა 28,2 20,91
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 26,63 20,76
სასჯელაღსრულების , პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო 31,945 20,7
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 25,675 20,38
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 24,375 20,36
ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური 29,635 20,2
საქართველოს ეროვნული არქივი 29,635 20,03
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 25,8 19,9
გამოცდების ეროვნული ცენტრი 32,6 19,44
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 26,28 19,09
გარემოს ეროვნული სააგენტო 20,035 18,3
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 25,91 17,18
სოფლის მეურნეობის სამინისტრო 22,02 16,49
შ.ს.ს აკადემია 22,24 16,47
ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის.. 24,15 16,42
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი 26,06 15,89
ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 30,845 15,58
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 36,035 14,86
სავაჭრო-სამრეწველო პალატა 26,28 12,71
შსს მომსახურების სააგენტო 15,145 12,33
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული.. 17,85 12,33
ფინანსთა სამინისტროს აკადემია 29,38 10,68
იუსტიციის სასწავლო ცენტრი 23,955 9,49
ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების.. 16,42 8,72
ტურიზმის ეროვნული სააგენტო 28,54 8,1
სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული.. 26,125 6,85

შედეგების შეჯამება

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტ „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის“ ფარგლებში 2011-2012 წლებში განხორციელებულ 104 საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევამ ცხადჰყო, რომ:

- საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის საშუალო ხარისხი **ძალზედ დაბალი** - **13.91%**-ია, ხოლო ტექნიკური გამართულობის საშუალო ხარისხი კი საკამოდ დაბალი - **39.7 %**;

- საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების საშუალო ჯამური რეიტინგი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის პროცენტულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს **დაბალია** - **26.85%**;

- **ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდებს** საქართველოში **სამინისტროების** ვებ-გვერდების ჯგუფი წარმოადგენს (საშუალო მაჩვენებელი - **17.25%**);

- სამინისტროთა სისტემებს შორის (სამინისტრო, საქვეუწყებო დაწესებულებები და სსიპები) **ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდებს** **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემა** აერთიანებს;

- მთელ რიგ შემთხვევებში, **სისტემაში გაერთიანებულ დაწესებულებების ქვე-ჯგუფებში** მაჩვენებლების მხრივ **უპირატესობა** არა ზემდგომ (მაკონტროლებელ) სამინისტროების ვებ-გვერდებს გააჩნიათ, არამედ **მათ მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა** თუ **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს**;

- ყველა მაჩვენებლით, იქნება ეს **ყველაზე გამჭვირვალე თუ ტექნიკურად გამართული ინდივიდუალური ვებ-გვერდი,** საუკეთესო არის **საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჯგუფში გაერთიანებული 2 დაწესებულება.**

- **საუკეთესო ჯამური რეიტინგის მქონე და ამავე დროს, ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდს, აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდი წარმოადგენს, ხოლო ტექნიკურად ყველაზე გამართულს კი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდი;**

- **ავტონომიური რესპუბლიკების რიგ დაწესებულებათა ვებ-გვერდების შედარებით კარგი მაჩვენებლები**, რა შემთხვევაშიც საქვეუწყებო დაწესებულებების ჯგუფის შიგნით აჭარის

ა.რ. მთავრობის საარქივო სამმართველოს ვებ-გვერდი ყველაზე მაღალი ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხით გამოირჩევა, ხოლო ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხითა და

ჯამური რეიტინგით აფხაზეთის ა.რ. მთავრობის ვებ-გვერდი საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდსაც კი ჯაბნის;

- მიუხედავად საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდების ზოგადად მაღალი მაჩვენებლების ელ. ხელმისაწვდომობისა და ჯამური რეიტინგის კრიტერიუმებით, **ინფორმაციული გამჭვირვალობის ყველაზე მაღალი ხარისხით სამინისტროებში** **სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს** ოფიციალური ვებ-გვერდი გამოირჩევა;

- **ინსტიტუტის მიერ შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ ცხრა თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ამა თუ იმ რაოდენობით, ვებ-გვერდებზე ყველაზე ხშირად წარმოდგენილია:**

  - **ზოგადი ინფორმაციის თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 47,6% საჯარო დაწესებულებათა 95% ვებ-გვერდებზე)
    (ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ, საერთო საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია ზემდგომი ორგანოს შესახებ, დეტალური საქმიანობის ისტორია, მმართველობის სფეროს და ფუნქციების აღწერა);

  - **საინფორმაციო რესურსების თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 57,5% საჯარო დაწესებულებათა 95% ვებ-გვერდებზე)
    (საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები, კადასტრები);

  - **კომპეტენციის სფეროში საქმიანობის თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 38,24% საჯარო დაწესებულებათა 95% ვებ-გვერდებზე)
    (ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები, დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები, სტაჟირებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაცია *და ა.შ.*).

- **ინსტიტუტის მიერ შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ ცხრა თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ამა თუ იმ რაოდენობით, ვებ-გვერდებზე ყველაზე იშვიათად წარმოდგენილია:**

  - **ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 14,04% საჯარო დაწესებულებათა 41% ვებ-გვერდებზე)
    (სატენდერო განცხადებები, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ამომწურავი ჩამონათვალი, გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები *და ა.შ.*);

- **საკადრო უზრუნველყოფის თემატური ბლოკი**
  (თემატური ბლოკის საშუალოდ 14,04% საჯარო დაწესებულებათა 32% ვებ-გვერდებზე)

  (საჯარო დაწესებულებაში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*);

- **დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის თემატური ბლოკი**
  (თემატური ბლოკის საშუალოდ 12,82% საჯარო დაწესებულებათა 49% ვებ-გვერდებზე)
  (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაცია; კონკრეტულ საშტატო ერთეულზე განსაზღვრული ფინანსური განაკვეთები; დაწესებულების სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, პროექტებისა და პროგრამების ხარჯთაღრიცხვა, დაწესებულებისათვის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) *და ა.შ.*).

- ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის **ყველაზე ხელმისაწვდომი, ამასთან სრული და განახლებადი ინფორმაცია წარმოდგენილია** **ზოგადი ინფორმაციის** თემატური ბლოკიდან - (ინფორმაციის ხარისხის შესაძლო 100%-დან საშუალოდ 68,14%)

- ვებ-გვერდზე მომხმარებლისათვის **ყველაზე რთულად ხელმისაწვდომი, ამასთან არასრული და მოძველებული ინფორმაცია წარმოდგენილია** **კომპეტენციის სფეროში საქმიანობის** თემატური ბლოკიდან - (ინფორმაციის ხარისხის შესაძლო 100%-დან საშუალოდ 29,2%)

ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის ინდექსით, საქართველოს რეალობა ჯერ-ჯერობით დაბალ განვითარებულიდან - ზომიერად განვითარებულისაკენ აღმავალ საფეხურზე დგას ელ. გამჭვირვალობის ხარისხობრივ კიბეზე. შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლებში ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალოგიურად, საქართველოს ოფიციალური ინტერნეტ სივრცის გამჭვირვალობა კვლავ არ ეხმიანება საზოგადოების ძირითად მოთხოვნებსა და ინტერესებს. ანგარიშში ნახსენებ ნებისმიერ „საუკეთესო“ ან ამა თუ იმ კრიტერიუმით „ყველაზე“ ხარისხიან ვებ-გვერდზე საუბრისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის დაბალი ხარისხის ზოგადი ფონი საქართველოში. საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის საგრძნობი ნაკლოვანებით და არსებული ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის პრაქტიკას პირდაპირ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდიდან ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი საუკეთესო

მაგალითზე მხოლოდ 40%-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური გამართულობის ხარისხი კი - 57.7 %-ს, რაც აგრეთვე მეტყველებს იმ ტენდენციაზე, რომ საქართველოში დღესდღეობით საჯარო დაწესებულებათა მხრიდან მეტი ყურადღება ექცევა თავიანთ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, არამედ ვებ-გვერდების ტექნიკური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას.

ელ.გამჭვირვალობის ზოგად დაბალ ფონზე, ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ამა თუ იმ შედარებით მაღალი მაჩვენებლის არსებობა ინდივიდუალურია და მეტყველებს მხოლოდ კონკრეტული საჯარო დაწესებულების სავარაუდო კეთილ ნებაზე იყოს მეტ-ნაკლებად გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული, თუმცა ხსენებულ მოტივაციის საპირისპიროდ, აგრეთვე შესაძლებელია მოყვანილ იქნეს სხვა რიგი სავარაუდო ფაქტორებიც.

მაგალითად, კვლევის შედეგად დადგენილი ის გარემოება, რომ საქართველოს სამინისტროების ვებ-გვერდების ერთობლიობა წარმოადგენს ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე ვებ-გვერდების ჯგუფს, თავისუფლად შესაძლებელია განპირობებულ იყოს იმ ფაქტორით, რომ სამინისტროებს გააჩნიათ საქმიანობის სფეროთა ძალიან მდიდარი და საჯარო მნიშვნელობით გამორჩეული სპექტრი, რა შემთხვევაშიც, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკანონმდებლო ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, ხსენებული ფაქტორი უბიძგებს სამინისტროებს იქონიონ ვებ-გვერდები და ინტერნეტის მეშვეობით საზოგადოებისათვის გახადონ ხელმისაწვდომი თავიანთი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. იგივე კვლევის შედეგად დადგენილი ის გარემოებებიც, რომ ინსტიტუტის მიერ შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ ცხრა თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ამა თუ იმ რაოდენობით, ვებ-გვერდებზე ყველაზე ხშირად წარმოდგენილ ინფორმაციას შორისაა ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ, ინფორმაცია ზემდგომი ორგანოს შესახებ, ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები, დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები *და ა.შ.* შესაძლებელია თავისუფლად მოაზრებულ იქნას

საჯარო დაწესებულების მიერ გარკვეული პოლიტიკის ხაზის ან/და საკუთარი საქმიანობის ვებ-გვერდის მეშვეობით აფიშირების ერთ-ერთ სავარაუდო PR ინსტრუმენტად, და არა ვებ-გვერდის მეშვეობით საზოგადოებისათვის საჯარო ინფორმაციის ღიაობისაკენ მიმართული პოლიტიკისა ან სქემის ნაწილად. აღნიშნული ვარაუდის გასამყარებლად, ნებისმიერ სკეპტიკოსს შეუძლია მოიყვანოს ის ფაქტიც, რომ გასულ ორ წელიწადს განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ანალოგიურად, წელსაც ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერებზე მათ დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ, უმეტეს შემთხვევებში, გაუხსნელი რჩება, არ არსებობს ხალხისათვის ვებ-გვერდის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლების და შესაბამისი პროცედურების გაცნობის პრაქტიკა, უმეტესობა დაწესებულებებისა პირდაპირ არიდებს თავს სატენდერო და სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსებას *და ა.შ.*

საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსების საფუძვლების ნებისმიერი ვარაუდის, იქნება ეს დაწესებულების კეთილი ნება თუ სხვა ირიბი ფაქტორები, ანდა ზოგადად საკითხში გარკვევის ბუნდოვანების თავიდან აცილების გზით, ინსტიტუტის მყარ პოზიციას კვლავ წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საჯარო დაწესებულებათა ელ.გამჭვირვალობის რეგულირების კალაპოტში მოქცევის აუცილებლობა.

აღნიშნული მიმართულებით აშკარა საჭიროებას წარმოადგენს შემდეგი ელემენტარული საკანონმდებლო ხასაითის ნაბიჯების განხორციელება:

- ყველა საჯარო დაწესებულებისათვის იმპერატიულ რეჟიმში ოფიციალურ ვებ-გვერდის შექმნის და ინტერნეტში განთავსების დავალდებულება;

- ინფორმაციის იმ მინიმალური ინფორმაციის ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელიც სავალდებულო წესით დაექვემდებარება პროაქტიულ გამოქვეყნებას საჯარო დაწესებულებებათა მხრიდან;

- ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობის დადგენა;

- საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერედებისათვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების მინიმუმის დადგენა.

მხოლოდ ზემოთ ხსენებული ნაბიჯების იმპლემენტაციის შემდგომ შესაძლებელია ელ. გამჭვირვალობის სტაბილურ და ლოგიკურ მაჩვენებლებზე საუბარი, რა შემთხვევაშიც საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კულტურა მიიღებს ერთიან სტანდარტიზებულ პრაქტიკის სახეს და არ იქნება დამოკიდებული რომელიმე საჯარო დაწესებულების კეთილ ნებასა თუ სხვა ფაქტორებზე. მხოლოდ ხსენებულ სივრცეში შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით ზოგადსახელმწიფოებრივი მასშტაბით საზოგადოების მოთხოვნებისა და

ხელისუფლების ინტერესთა თანხვედრა, ურთიერთნდობისა და ინტერაქტივის დონის ამაღლება, მომსახურებით სარგებლობის სისწრაფისა და ხარისხის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურ რეჟიმში. ხსენებული მიმართულებით მუშაობას ინსტიტუტი კვლავაც აქტიურად განაგრძობს და კვლავაც გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს საჯარო დაწესებულებებთან ოფიციალურ ინტერნეტ სივრცეში გამჭვირვალობისა და უკეთესი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

საბოლოო რეიტინგი




33. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
29,77
22,84
36,7
34. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
29,765
13,68
45,85
35. ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური
29,635
13,35
45,92
36. ფინანსთა სამინისტროს აკადემია
29,38
13,45
45,31
37. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
28,78
15,58
41,98
38. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
28,63
12,08
45,18
39. ტურიზმის ეროვნული სააგენტო
28,54
11,43
45,65
40. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
28,475
19,37
37,58
41. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
28,415
13,88
42,95
42. ნოტარიუსთა პალატა
28,2
17,8
38,6
43. თავდაცვის სამინისტრო
28,14
12,54
43,74
44. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი
28,06
16,5
39,62
45. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
27,98
17,02
38,94
46. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა..
27,935
20,51
35,36
47. სასაზღვრო პოლიცია
27,725
11,04
44,41
48. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო
27,5
10,73
44,27
49. ქალაქ თბილისის მერია
27,43
17,93
36,93
50. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
27,35
12,45
42,25
51. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
27,025
12,3
41,75
52. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"
26,75
11,37
42,13
53. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
26,65
15,38
37,92
54. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
26,63
14,08
39,18
55. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
26,455
12,07
40,84
56. ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
26,335
0
52,67
57. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
26,28
12,56
40
58. სავაჭრო-სამრეწველო პალატა
26,28
10,88
41,68
59. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
26,125
12,62
39,63
60. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
26,06
10,07
42,05
61. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
25,91
16,5
35,32
62. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
25,8
17,4
34,2
63. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
25,675
12,26
39,09
64. საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
25,425
12,61
38,24
65. მონაცემთა გაცვლის სააგენტო
25,285
8,61
41,96
66. დაცული ტერიტორიების სააგენტო
25,28
9,78
40,78
67. საავტომობილო გზების დეპარტამენტი
25,2
13,76
36,64
68. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
24,705
11,07
38,34


69. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
24,62
16,17
33,07
70. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
24,595
12,45
36,74
71. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
24,375
15,01
33,74
72. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
24,36
7,43
41,29
73. მუნიციპალური განვითარების ფონდი
24,16
15,11
33,21
74. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
24,15
8,99
39,31
75. იუსტიციის სასწავლო ცენტრი
23,955
8,43
39,48
76. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
23,8
12,71
34,89
77. საწარმოთა მართვის სააგენტო
23,78
14,38
33,18
78. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
23,77
13,31
34,23
79. საკანონმდებლო მაცნე
23,59
0
47,18
80. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამმართველო
23,33
13,93
32,73
81. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
23,185
12,85
33,52
82. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
23,035
8,43
37,64
83. ეროვნული არქივი
22,915
12,2
33,63
84. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
22,905
8,38
37,43
85. შსს აკადემია
22,24
12,13
32,35
86. სოფლის მეურნეობის სამინისტრო
22,02
8,68
35,36
87. საზოგადოებრივი მაუწყებელი
21,675
9,85
33,5
88. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
21,275
4,92
37,63
89. კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
21,235
7,64
34,83
90. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
21,12
8,97
33,27
91. საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი
20,57
5,09
36,05
92. გარემოს ეროვნული სააგენტო
20,035
8,58
31,49
93. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
20
8,67
31,33
94. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
19,135
18,5
19,77
95. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
17,905
13,55
22,26
96. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
17,85
9,03
26,67
97. აჭარის ტელერადიო დეპარტამენტი
17,38
0
34,76
98. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
16,97
9,11
24,83
99. ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
16,42
8,46
24,38
100. შსს მომსახურების სააგენტო
15,145
6,07
24,22
101. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
13,4
0
26,8
102. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი
12,015
5,639
18,4
103. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
7,97
1,92
14,02
104. ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი
0,565
1,13
0